

რამდენად ეფექტურია ეუჩის ნარპოტესტირება?

დავით რთიაშვილი ^{ა, ბ)}

ვანო ცერცეაძე ^{ა, ბ)}

ირმა კირთაძე ^{ა)}

მარინა ჭავჭავაძე ^{ა)}

ტომაშ ზაბრანძე ^{გ)}

^{ა)} დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი, „ალტერნატივა ჯორჯია“, თბილისი, საქართველო

^{ბ)} ადიქტოლოგიის ცენტრი, მედიცინის პირველი ფაკულტეტი, პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

^{გ)} საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

რეზიუმე

მიზანი: მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ნარკოპოლიტიკის შედარებით ახალი ინტერ-ვენციის შედეგების კვლევასთან დაკავშირებით. ეს პოლიტიკა საქართველოში 2006 წლიდან ტარდება. სამართალდამცავი ორგანოები, ადამიანთა რანდომული ან „ინტუიციური“ შერჩევის საფუძველზე – იმისმიუხედავად, მონაწილეობენ თუ არა ისინი რაიმე საეჭვო უკანონო ქმედებაში — მოქალაქეებს შარდის ტოქსიკოლოგიურ ანალიზს უტარებენ. სწრაფი ტესტით ჩატარებული შარდის ანალიზის დადებითმა პასუხმა შეიძლება ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლებრივი სანქციები გამოიწვიოს.

დიზაინი: ხარჯთევექტურობის კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიების კომბინაციის გამოყენებით, საბოლოო მოდელისთვის მონაცემების მიღების მიზნით.

მეთოდები: ფოკუსური ჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და დამხმარე კითხვარების მეშვეობით, იმ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის გამოკითხვა, რომელთაც შარდის ანალიზი ჩაუტარეს ნარკოტიკების მეტაბოლიტებზე მას შემდეგ, რაც პოლიციის მიერ იქნენ დაკავებულები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი დანახარჯების შესახებ მონაცემები მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტული მექანიზმების გამოყენებით, რაც ინფორმაციაზე თავისუფალ წვდომას ითვალისწინებს; დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში, ივარაუდება შემდგომი ხანმოკლე სატელეფონო და უშუალო ინტერვიუები სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებელ პირებთან.

მონაწილეები: პრობლემური ნარკომომხმარებლების, ნარკომომხმარებელთა სხვა ჯგუფების და არანარკომომხმარებელი პოპულაციის წევრების შერჩევა, რომელთაც შარდის ანალიზი აუღეს 2008 წლის განმავლობაში.

ინსტრუმენტები: კვლევის მონაწილეებისგან მიღებული შედეგებისა და ტესტის დადებით პასუხზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურების მიხედვით, შარდის ნარკოტიკების ხარჯთევექტურობის მოდელის შექმნა და თანხობრივი მონაცემებით შევსება.

დასკვნა: კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯა და დაპატიმრება მცირე, ან არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზოგად ქცევაზე და ეს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის შეზღუდული რესურსების ძალზე არაეფექტური და ფუჭი ხარჯვაა.

საკვანძო სიტყვები

ნარკოპოლიტიკა; კანონმდებლობა ნარკოტიკების შესახებ; ხარჯთევექტურობა; მიღვომა: სადამსჯელო, რანდომული ტესტირება ქუჩაში; საქართველო.

საგადლობელი

წინამდებარე კვლევის ავტორებს სურთ ღრმა მადლიერება გამოთქვან საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ მისამართით, განეული თანამშრომლობისთვის, ასევე მადლიერებას გამოვხატავთ კვლევითი ექსპერტების: ნათია რუხაძის, ქეთევან ჩხატარაშვილისა და ქეთევან გოგუაძის მიმართ, მათ მიერ განეული კონსულტაციისა და, განსაკუთრებით, ტექნიკური მხარდაჭერისთვის.

წინამდებარე კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერისა და საველე პროცესებში შემდეგი პირების აქტიური ჩართულობის გარეშე: ლანა ლაგვილავა („ალტერნატივა ჯორჯია“), დიმიტრი წიკლაური, ნანა კაპანაძე, პაატა ფორჩიხიძე („ახალი ვექტორი“), ირაკლი კირთაძე, გიორგი ჟვანია („ქსენონი“), ქეთევან ბიძინაშვილი, კახი გემაზაშვილი („ნაბიჯი მომავლისკენ“), ზორია წურწუმია, მინდია ხახუტაიშვილი და მირანდა ულენტი („იმედი“).

კვლევა დაფინანსებულია „ლია საზოგადოების ინსტიტუტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის“ გრანტით, NY(PHI/IHD/01/09-16513).

სარჩევი

რეზიუმე	3
საკვანძო სიტყვები.....	3
სამადლობელი	4
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	6
ზოგადი ინფორმაცია	8
მეთოდოლოგია	9
კვლევის მიზნები	9
ინსტრუმენტები, მეთოდები და მონაცემთა მოპოვება.....	10
გამოკითხვა	11
სახელმწიფო საბიუჯეტო დანახარჯების გამოთვლა.....	24
ეკონომიკური მოდელი.....	31
შედეგები	35
დისკუსია.....	37
დისკუსია მონაცემების ხარისხის და გამოთვლებში გამოყენებული დაშვებების შესახებ	37
სამართლებრივი და ტექნიკური პროცედურების განხილვა	38
ტესტირების ეთიკური ასპექტების განხილვა.....	39
დასკვნები.....	39
რეკომენდაციები	40
გამოყენებული ლიტერატურა	42
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	45

„(...) არანაირი პოლიტიკა, პროგრამა ან პროექტი არ ჩაითვლება მიღებულად მანამ, სანამ ვასუხი არ გაეცემა შემდეგ შეკითხვებს:

(1) თუ არსებობს ამ მიზნის მიღწევის უკეთესი გზები?

(2) თუ არის შესაძლებელი ამ რესურსების უკეთესად გამოყენება?“

გაერთიანებული სამეფოს სახაზინო მნვანე წიგნი

„წამალდამოკიდებულება ჯანმრთელობის პრობლემაა. ნარკოტიკების მომხმარებლებს დასკვა კი არა, მკურნალობა სჭირდებათ.“

ანტონიო მარია კოსტა

2002-2010 წწ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის (UNODC) აღმასრულებელი დირექტორი

შემაჯამარებელი მიმოხილვა

2006 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად, საქართველოში პოლიცია ათასობით ადამიანს აკავებს ქუჩებში და ანალიზებს უტარებს ნარკოტიკული ნივთიერებების მეტაბოლიტების გამოსავლენად. ანალიზის დადებით პასუხებს კი შედეგად დიდი ჯარიმა ან დაპატიმრება მოჰყვება. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკაცრი სადამსჯელო ზომებით (ა) ნარკოტიკების მომხმარებლები აიძულონ, შეწყვიტონ ნარკოტიკების მოხმარება და (ბ) ბავშვები და ახალგაზრდები აარიდონ ნარკოტიკებით ექსპერიმენტირებას. თუმცა, ამგვარი პოლიტიკის ოპონენტები მუდმივად კამათობენ, რომ ათასობით ახალგაზრდის დევნა და ნარკოტიკების აღმოსაჩენად მათი ტესტებით შემოწმება ძალიან შეზღუდულ, უმნიშვნელო, ან საერთოდ არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ნარკომანიის დონეზე.¹ იმის დასადგენად, თუ რა ზეგავლენას ახდენს მკაცრი სამართლებრივი ზომები საქართველოში არსებულ ნარკოსიტუაციაზე, ჩვენ განვახორციელეთ ეკონომიკური კვლევა, რომელშიც რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების კომბინაცია გამოვიყენეთ ტესტირების მოდელის შესაქმნელად და მასში მონაცემების გასაერთიანებლად. ეს მიდგომებია: ინტერვიუერის მიერ კითხვარების გამოყენებით ჩატარებული გამოკითხვები; თვისებრივი ჩაღრმავებული ინტერვიუები და განხილვები ფოკუს-ჯგუფებში; ხარჯების გამოვლენა და კალკულაცია.

¹ ამას გარდა, მნვანე მოსაზრებები წამოიჭრა ამგვარი იძულებითი ტესტირების ეთიკური ასპექტების მიმართ (კიკნაძე და თოიაშვილი, 2007 წ.); თუმცა, აღნიშნული ასკეტეტები წინამდებარე კვლევის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

კვლევის დროს კონკრეტულად შემოწმდა ჰიპოთეზა, თითქოს ნარკომომხმარებლები თავს ანებებენ ნარკოტიკების მიღებას, მას შემდეგ, რაც ანალიზის დადებით პასუხს მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელი მოჰყვება. ჩვენ ვერ მოვახერხეთ გამოგვევლინა ისე-თი მონაცემები, რომლებიც საქართველოს არანარკომომხმარებელ პოლულაციაში და, განსა-კუთრებით, ახალგაზრდებში ინტერვენციის პრევენციული/დამაშინებელი ეფექტის შემოწ-მების შესაძლებლობას მოგვცემდა. თუმცა, შეფასებები, რომლებიც კეთდება დამაშინებელ ტაქტიკაზე აგებული პრევენციული პროგრამების შედეგებზე, ყოველთვის მიუთითებს ამგვარი პრევენციული მიდგომის ნულოვანი, ან საერთოდ, უარყოფითი ეფექტის შესახებ (იხილეთ, მაგ. Ennett et al., 1994; Hansen & McNeal, 1997; Vincus, Ringwalt, Harris, & Shamblen, 2010).

წინამდებარე კვლევის შედეგების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ ნარკომომხმარე-ბელთა დასჯა და დაპატიმრება საქართველოში არანაირ, ან მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავ-ლენას ახდენს შემოწმებული პირების ნარკოტიკებთან დაკავშირებულ შემდგომ ქცევაზე და ამგვარად, ეს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის შეზღუდული რესურსების ძალ-ზე არაეფექტური და ფუჭი ხარჯვაა.

სადამსჯელო ზომები, რომლის ანალოგიც განვითარებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებში არ არსებობს, არ იძლევა რაიმე კონკრეტულ შედეგს ნარკოტიკების მოხმარების კუთხით და ამის ნაცვლად ყოველწლიურად 1,600 ადამიანის კრიმინალიზაციას იწვევს — ნარკომომხმარებლები ერთვებიან არა მხოლოდ „ნებაყოფლობით“ ნარკოტიკულ დანაშაულ-ში, არამედ სისხლის სამართლებრივ ქმედებებშიც, რაც გაცილებით უფრო საშიში შედეგების მომტანია საზოგადოებრივი წესრიგისთვის.

გარდა იმისა, რომ ნარკოტიკებზე რანდომული შემოწმება — ამ პოლიტიკის მომხრეების მოლოდინის საპირისპიროდ — ვერ ახდენს ზეგავლენას ნარკოტიკების მოხმარების შემცი-რებაზე, მას ასევე საგრძნობი ეკონომიკური ხარჯები მოაქვს საქართველოს საზოგადოები-სთვის, ისეთ არამატერიალურ ხარჯებთან ერთად, რომელთა ფულადი მნიშვნელობის დად-გენაც რთულია (მეორადი ბაზრის შედეგები, შემოწმებულ პირთა დამცირება, ოჯახების განცდები, იმ ნარკომომხმარებლების კრიმინალიზაცია, რომლებიც არანაირ (სხვა) უკანონო საქმიანობაში არ იყვნენ ჩართულნი და სხვ.). ამას გარდა, შემოწმებული პირების მიმართ ტე-სტირების ინტერვენციების ნულოვანი შედეგის პირობებში, ჩვენ შეგვიძლია დამაჯერებლად დავასკვნათ, რომ ქუჩაში ნარკოტიკების მომხმარებელთა გამოვლენაზე ფოკუსირებული პოლიციის ორი დეპარტამენტის (და სხვა სამართალდამცავი ორგანოების) ძვირად ღირებუ-ლი რესურსები, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების ნაცვლად, არამიზნობრივადარის გადამისამართებული.

ჩატარებული სამუშაოს შედეგების საფუძველზე, კვლევის ავტორები შემდეგი რეკო-მენდაციებით მიმართავენ ნარკოპოლიტიკის ფორმირებაში ჩართულ ორგანოებას:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნას 273-ე მუხლი; ამით ყოველწლიურად თავიდან იქნება აცილებული დაახლოებით 1,600 ადამიანის

დაპატიმრება და 8 მილიონზე მეტი ლარი დაიზოგება მარტო საპატიმრო დაწესებულებების ბიუჯეტიდან;

- დაზოგილი 8 მილიონი ლარი გამოიყოს თანამედროვე და სტრუქტურირებული, ევროკავშირის სტილის „ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების“ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, რომელიც დანერგავს ან/და გააფართოვებს მოთხოვნის შემცირების ეფექტურ პროგრამებს (მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია, პრევენცია), რაც ძალიან ხარჯთევექტურია როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის პერსპექტივიდან;
- ნარკოტიკებზე რანდომული ტესტირების პროგრამების შეჩერების შედეგად პოლიციის გამოთავისუფლებული პოტენციალი სხვაგვარად იქნას გამოყენებული: პოლიციამ ქუჩაში ახალგაზდრების გამოვლენის სანაცვლოდ (რომლებიც ეჭვმიტანილი არიან, როგორც პოტენციური ნარკომომხმარებლები) პრიორიტეტულად აქციოს კრიმინალური ქმედების პრევენცია და გამოვლენა, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს კრიმინოგენურ სიტუაციასა და საზოგადოების უსაფრთხოებაზე.

ზოგადი ინფორმაცია

განვითარებულ ქვეყნებში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დემოკრატიული საჯარო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ სანდო მონაცემებს. დასაბუთებული პოლიტიკა განისაზღვრება, როგორც „მიდგომა, რომელიც ადამიანებს ეხმარება, მიიღონ გაცნობიერებული გადაწყვეტილებები პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შესახებ და გაამყარონ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საფუძველი, კვლევიდან მიღებული სარწმუნო მონაცემების გათვალისწინებით“. აღნიშნული მიდგომა შეხედულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკას უპირისპირდება, რომელიც გამომდინარეობს ან მტკიცებულების (მაგ. ერთჯერადი კვლევები, ხარისხის მიუხედავად) სელექციური გამოყენებიდან, ან ინდივიდუალური კვლევების გადაუმონმებელი მოსაზრებებიდან, რომელთა ფორმირება გამოწვეულია იდეოლოგიური მსოფლმხედველობით, ნინასნარ შექმნილი აზრებით ან სპეციალისტიური ვარაუდით (Davies, 2004).

მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ინტერვენციების მუდმივი შეფასება მათი პროცესის (ინტერვენციის გამოყენება),² ეფექტიანობისა (წარმატება მიზნის მიღწევაში) და ხარჯთევექტურობის³ კუთხით. ეს პრინციპი უშუალოდ ეხება (ანტი) ნარკოტიკულ პოლიტიკასაც, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ერთ-ერთ პოლიტიკიურ პრიორიტეტადაა აღიარებული.⁴

2 ისეთი შეკითხვის დასმა, როგორიცაა: „ინტერვენცია ისე განხორციელდა, როგორც დაგეგმილი იყო?“

3 ისეთი შეკითხვის დასმა, როგორიცაა: „ინტერვენციის სარგებელი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ხარჯი? ხომ არ არის სხვა ინტერვენცია, რომელსაც უკეთესი ხარჯთევექტურობის მაჩვენებელი ექნებოდა და იმავე მიზნებს მიაღწევდა?“ და სხვ.

4 როგორც ნაჩვენება მაგ, ეროვნული სტრატეგიის ნარკოტიკული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შეფასებით, ავსტრალიის ნარკოტიკული სტრატეგიის რეგულარული და პრიოდული შეფასებებით, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების კონტროლის ოფიციალური ანგარიშით, კანადის ნარკოტიკული პოლიტიკების შეფასებებით, ევროკავშირის ქვეყნების

წინამდებარე ანგარიში სრულიად პასუხობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. ასეთი მიდგომა სიახლეა საქართველოსა და საერთოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ნარკოპოლიტიკის ისტორიაში.

2006 წლიდან მოყოლებული, საქართველოში პოლიცია ყოველწლიურად ათასობით ადამიანს აკავებს ქუჩაში და ნარკოტიკული ნივთიერებების მეტაბოლიტების გამოსავლენად მათ ტესტირებას ახდენს. ტესტის დადებით პასუხებს შედეგად მაღალი ჯარიმა ან დაპატიმრება მოსდევს. ასეთ სამართლებრივ ინტერვენციულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ უკიდურესად მკაცრი სადამსჯელო ზომები (ა) იძულებულს გახდის ნარკოტიკების მომხმარებლებს, შეწყვიტონ ნარკოტიკების მიღება და (ბ) დაიცავს (ან უფრო სწორად, დააშინებს) ბავშვებსა და ახალგაზრდებს ნარკოტიკული ნივთიერებების გასინჯვისგან.

ამის საპირისპიროდ, ამგვარი პოლიტიკის ოპონენტები მუდმივად გამოთქვამენ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომ ათასობით ახალგაზრდის „მიზანში ამოღება“ და ნარკოტიკების აღმოსაჩენად მათი ტესტირება ძალიან შეზღუდულ, უმნიშვნელო, ან საერთოდ ნულოვან ზეგავლენას ახდენს ნარკომანის დონეზე. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდებში შარდის ანალიზის რანდომულად აღება მათ ღირსებასა და ადამიანის უფლებებს თელავს (კიკნაძე და ოთიაშვილი, 2007 წ.).

წინამდებარე კვლევა ფრთხილად ეკიდება იმ იდეოლოგიურ კონფლიქტებსა და ეთიკურ პრობლემებს, რომელიც ქუჩაში შემოწმების მიზნით დაკავების პროცესში ჩართულ პირებს ეხება. კვლევის მიზანია ნათელი მოპფინოს ამ დისკუსიას ინტერვენციების შეფასებითა და საერთაშორისო მასშტაბებით დამკვიდრებული სამეცნიერო მეთოდებით, კონკრეტულად კი შეამოწმოს ჰიპოთეზა (ვარაუდი), რომ ტესტირების შედეგები აიძულებს ნარკომომხმარებლებს შეწყვიტონ ნარკოტიკების მიღება.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო, პასუხი გაეცა შემდეგ შეკითხვებზე:

- ა)** რა თანხა დახარჯა 2008 წელს საქართველომ ნარკოტიკის მოხმარებაზე ტესტების ჩატარების ღონისძიებებისთვის და შემდგომ საკანონმდებლო ზომებისთვის?
- ბ)** რა გავლენა მოახდინა ნარკოლოგიურმა შემოწმებამ ნარკოტიკების მომხმარებლებზე მათი ნარკოკარიერის, მოხმარების წესისა და მოხმარებასთან დაკავშირებული დაავადებების თვალსაზრისით?
- გ)** რა მიზნების მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი, ა)პუნქტში მითითებული თანხები მეცნიერულად დასაბუთებული, ეფექტური სამკურნალო და პრევენციული

ეროვნული ნარკოტიკული სტრატეგიების ან/და სამოქმედო გეგმების შეფასებით, ასევე უურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომით და სხვ. (იხილეთ, მაგ. Single, E., Rohl, T., & Ministerial Council on Drug Strategy, 1997; European Community, 2008; Moreira, Trigueiros, & Antunes, 2007; Success Works, 2003; Wilkins, Sweetsur, & Casswell, 2006; etc.)


ზომების განხორციელებაზე რომ დახარჯულიყო (ზომების, რომლებიც გლობალური სამეცნიერო საზოგადოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი სააგენტოების მიერ მიჩნეულია როგორც ეფექტური, ხოლო მათი ეფექტურობის შესახებ განხორციელებული კვლევები განიხილება როგორც სარწმუნო)?⁵

ინსტრუმენტი, მათოდაპი და მონაცემთა მოარვება

ეკონომიკური კვლევის დროს გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია:

- თვისებრივი ინტერვიუები და დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში;
- გამოკითხვები სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით;
- დანახარჯების (პირდაპირი ხარჯების) კალკულაცია და
- მოდელირება იმ დაშვებების გამოყენებით, რომლებიც ფაქტობრივი სარწმუნო მონაცემებიდან იქნა მიღებული ან გენერირდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევითი მეთოდების გამოყენებით, შემდგომში დადგენილი პირდაპირი ხარჯების მოდელში ჩადებით.

2008 წლის საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ყველა შესაბამისი სამინისტროსა და სამთავრობო უწყებიდან, დოკუმენტირებული წერილობითი კომუნიკაციის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად. ინტერვიუები ჩატარდა 500 ადამიანთან (412 ნარკომომხმარებელი და 88 არამომხმარებელი), რომლებიც 2008 წლის განმავლობაში სულ ცოტა ერთხელ მაინც დააკავეს ქუჩაში შარდის შემოწმების მიზნით, ნარკოტიკების მოხმარების დასადგენად (იხილეთ სურათი 1).



სურათი 1: კვლევის დიზაინი

5 იხილეთ მაგ. Hawks, Katie, & McBride, 2002; World Health Organisation, United Nations Office on Drugs and Crime, UNAIDS, 2004; World Health Organisation, 2009; etc.)

ოფიციალური დოკუმენტებისა და გამოკითხვის ანალიზის შედეგად, მიღებული მონაცემების გაერთიანებით შესაძლებელი გახდა ჩამოთვლილიყო ხარჯები, რომლებიც ინტერვენციაში მონაწილე თითოეული სახელმწიფო უწყების ღონისძიებებს ფარავდა. მაგალითად, საპატრულო პოლიციის მიერ ეჭვმიტანილ პირთა შარდის ანალიზზე დახარჯული დროის ხარჯის გამოსათვლელად შემდეგი ინდიკატორები იქნა გამოყენებული:

1. საპატრული პოლიციის დეტალური ბიუჯეტი;
2. 2008 წელს დაქირავებული პატრულის თანამშრომლების რაოდენობა და
3. ფოკუსური ჯგუფების, ასევე იმ პირების ინტერვიუების მეშვეობით გამოვლენილი მონაცემები, რომლებსაც გამოჰკითხეს, თუ ჩვეულებისამებრ (საშუალოდ) რა დროს ხარჯავდა პოლიციელი ქუჩაში ნარკოტიკების მიზნით პირის დაკავებასა და შესაბამის სამართლებრივ პროცედურებზე.

ორივე წყაროდან მიღებული მონაცემების გამოყენებით (სახელმწიფო უწყებიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე მიღებული მონაცემები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ზუსტდებოდა სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლებისთვის დამატებითი შეკითხვების დასმით, ასევე ჩვენი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით მიღებული მონაცემები, რომელთა დახმარებითაც ტესტირების პროცესი რაოდენობრივი ინდიკატორებით იქნა აღნერილი) შეჯამდა და დაუკავშირდა 2008 წელს ნარკოტიკების შემოწმების ინტერვენციის პროცესსა და შემდგომ სამართლებრივ წარმოებაში ჩართული თითოეული სახელმწიფო უწყების დანახარჯს.

გაერთიანებულმა მოდელმა კომპოზიტური ფულადი ინდიკატორი მოგვცა, ანუ თანხის ის ფაქტობრივი რაოდენობა, რომელიც მთელ ინტერვენციაზე დაიხარჯა. საბოლოოდ, კვლევის მონაცემები გამოყენებულ იქნა დანახარჯების ეფექტის გამოსავლენად, კერძოდ იმის დასადგენად, შემცირდა თუ არა შემოწმებული პირების მიერ ნარკოტიკების მოხმარება, სხვა სიტყვებით, მოიტანა თუ არა „რანდომული ტესტირების ინტერვენციამ“ რამე თვალსაჩინო სარგებელი.

გამოკითხვა

მიზნები

გამოკითხვა ჩატარდა იმ პირთა შორის, რომლებიც დააკავეს და ნარკოტიკების მოხმარებაზე შარდის ანალიზი აუდეს იმის მიუხედავად, რომ მათ მიერ არანაირ კრიმინალურ დანაშაულს ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას არ ჰქონია ადგილი. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შერჩეულ ხუთ ქალაქში — თბილისში, თელავში, გორში, ბათუმსა და ზუგდიდში, რომლებიც თავის მხრივ, ნარკოტიკების მოხმარების სხვადასხვა დონით და მახასიათებლებით გამოირჩევიან (იხილეთ, მაგ. ჯავახიშვილი, სტურუა, ოთიაშვილი, კირთაძე და ზაბრანსკი, 2011 წ.). კვლევის მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია:

- რა დრო, და შესაბამისად რა მოცულობის ადამიანური რესურსი იხარჯება სამართა-ლაღსრულების სხვადასხვა სტრუქტურის მიერ (საპატრულო პოლიცია, ნარკოლოგიური შემოწმების/ექსპერტიზის დაწესებულებები, პროკურატურა, სასამართლო და სასჯე-ლაღსრულების დეპარტამენტი) ნარკოლოგიური ტესტირების ჩატარებასა და შემდგომ ღონისძიებებზე;
- ინვენს თუ არა ნარკოლოგიური ტესტირება და შემდგომი სადამსჯელო ზომები იმ ადა-მიანების ქცევის შეცვლას, ვისაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევა და თუ არსებობს ასეთი ფაქტები — როგორი ხარისხითა და რამ-დენი ხნით.

კვლევის ეთიკური ასპექტები

წინამდებარე კვლევის ბიოეთიკური ასპექტები, ასევე კვლევაში მონაწილე პირების უს-აფრთხოების, კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის საკითხები შეაფასა და კვლევის ეთიკურობა სცნო დედათა და ბავშვთა მზრუნველობის კავშირის ინსტიტუციური განხილვის საბჭომ (ეთიკის დამოუკიდებელი კომისია, სერთიფიცირებულია ამერიკის ადამიანთა დაც-ვის ოფისის მიერ # IRB00006752).

კვლევაში მონაწილე თითოეული პირი იღებდა ინფორმაციას კვლევის მიზნების, თემატი-კის, რისკებისა და სარგებლობის შესახებ და მხოლოდ მისი ნებაყოფლობითი თანხმობისა და კვლევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში იღებდა მონაწილეობას გამოკითხვაში.

ჩართულობის პრიცერიუმები

კვლევის პროტოკოლის მიერ შემდეგნაირად განისაზღვრა ჩართულობის კრიტერიუმები:

- კვლევის მონაწილე პირი სრულწლოვანი, ე.ი. 18 წელზე უფროსი ასაკის უნდა ყო-ფილიყო;
- კვლევაში მონაწილე პირს თანხმობა ნებაყოფლობით უნდა განეცხადებინა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ინფორმაციის სრულყოფილი აღქმა შეძლებოდა;
- კვლევაში მონაწილე პირი 2008 წელს ნარკოტესტირებაზე ერთხელ მაინც უნდა ყო-ფილიყო წარდგენილი, ტესტირების (დადებითი თუ უარყოფითი) შედეგის მიუხე-დავად. ასევე არ ჰქონდა მნიშვნელობა მის ამჟამინდელ სტატუსს ნარკოტიკების მოხმარების საკითხში (პირი, რომელსაც არასოდეს მიუღია ნარკოტიკი, ყოფილი ნარკომომხმარებელი, ამჟამინდელი ნარკომომხმარებელი).

სტრუქტურირებული კითხვარის შემუშავება (კვლევის ინსტრუმენტი)

კვლევის საწყის ეტაპზე საველე ექსპერტებთან ინდივიდუალური, არაფორმალური ინტერვიუები და შეხვედრები მოეწყო; მომდევნო ეტაპზე შედგა ფორმალური ფოკუს-ჯგუფები ზიანის შემცირების დაბალზღურბლოვან პროგრამებში ჩართულ სოციალურ მუშაკებთან და ნარკომომხმარებლებთან, რომლებმაც 2008 წელს გაიარეს შემოწმება.

დაბალზღურბლოვანი სერვისების თანამშრომლების მიერ ორგანიზებული ფოკუსური ჯგუფის მიზანი იყო დაედგინათ:

- ქუჩაში ნარკო-ტესტების ჩატარების სიხშირე;
- ყველაზე გავრცელებული მიზეზები, რის გამოც პოლიცია კონკრეტულ პირებს ნარკოტიკებზე ამოწმებდა;
- დაკავებისა და ტესტირების პროცესი.

დეტალურად მოხდა ყველა იმ ეტაპის განხილვა, რომელსაც ტესტირებაზე წარდგენილი პირი გადიოდა – პატრულის მიერ ქუჩაში დაკავებიდან ნარკოტიკებამდე და შემდეგ — გასამართლებამდე. ყურადღება გამახვილდა ჯარიმების ოდენობასა და მათი გადახდის გზებზე.

იმავე თემატიკით შედგა ფოკუსური ჯგუფი მომხმარებლებს შორის, სადაც ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვამ დეტალური ხასიათი შეიძინა; დაკონკრეტდა ჯარიმებისა და გირაოს საკითხები, მათი გადახდის გზები.

ფოკუსური ჯგუფების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტი (საბოლოო კითხვარი). კითხვარების სამუშაო ვერსია საცდელი სახით ხუთ ნარკომომხმარებელთან იქნა გამოყენებული, რომლებიც 2008 წელს ნარკოლოგიურ ტესტირებაზე იქნენ წარდგენილნი. საცდელი კითხვარის ადმინისტრირების შემდეგ გამართული ინტერვიუების საფუძველზე კვლევითმა ჯგუფმა კვლევის ინსტრუმენტი საბოლოო სახით შეიმუშავა.

კვლევითმა ჯგუფმა და კონსულტანტებმა ორი სხვადასხვა შერჩევის მეთოდი გამოიყენეს:

- რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა (იხილეთ Heckathorn&Magnani, 2005 წ.) ნარკომომხმარებლების შესარჩევად თბილისში;
- მარტივი შერჩევა თოვლის გუნდის პრინციპით (იხილეთ, მაგალითად, Goodman, 1961) არამომხმარებელი პირების შესარჩევად თბილისში, ასევე, ნარკომომხმარებლებისა და არანარკომომხმარებლების შესარჩევად სხვა ქალაქებში.

მონაცემების შეგროვება

კვლევითი გუნდის გადაწყვეტილებით, თბილისში შერჩევა განხორციელდა ორივე მეთოდით: რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდით (გამოიკითხა 250 ნარკოტიკის მომხ-

მარებელი) და თოვლის გუნდის მეთოდოლოგიით (გამოიკითხა 50-მდე ტესტირებაზე წარდგენილი არამომხმარებელი). თოვლის გუნდის მეთოდოლოგიით ზუგდიდში, ბათუმში, გორსა და თელავში გამოიკითხა 200 პირი, მათ შორის იყვნენ ნარკოტიკების მომხმარებლები (162 პირი) და არამომხმარებლებიც (38 პირი), რომლებიც პოლიციამ 2008 წელს წარადგინა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე.


არამომხმარებელთა კვლევაში ჩართვა მოხდა „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრ ორგანიზაციათა დახმარებითა და მხარდაჭერით, რომლებიც საადვოკაციო პროექტებს ახორციელებდნენ და კავშირი ჰქონდათ ტესტირებაზე წარდგენილ არამომხმარებლებთან.

გამოკითხვები 2009 წლის ნოემბერში ჩატარდა. 34 შეკითხვისგან შედგენილი კითხვარი გამოყენებულ იქნა ორივე ჯგუფის გამოსაკითხად. რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდით გამოკითხვისას აღნიშნულ კითხვარზე დამატებით გამოყენებული იქნა ნომინაციის შეკითხვები, მეთოდოლოგიის დაცვისა და იმ მიზნით, რომ შერჩევის რეპრეზენტატიულობა მიღწეული ყოფილიყო შემოწმებული ნარკომომხმარებლების მიმართ თბილისში.

თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებისას კვლევაში მონაწილეთა რეკრუტირება მოხდა ზიანის შემცირების პროგრამებიდან სოციალური მუშაკების დახმარებით, ხოლო შემდეგ კვლევაში მონაწილეთა ჯაჭვი გაგრძელდა თავად რეკრუტირებული მონაწილეების მიერ.

რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის გამოკითხვა დაიწყო სამიზნე ჯგუფიდან 6 რეკრუტირებული მომხმარებლით (მარცვალი). ექვსივე ინდივიდი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი იყო. თითოეული მათგანი გამოკითხვის შემდეგ იღებდა კვლევის პროტოკოლით გათვალისწინებულ, კვლევაში მონაწილეობისთვის დახარჯული დროის საკომპენსაციო ფულად ჯილდოს. მათვე სთავაზობდნენ, კვლევის კრიტერიუმების შესაბამისად, კვლევაში ჩაერთოთ სამი პირი. ამისათვის მათ გადაეცემოდათ სამი კუპონი (უნიკალური ნომრით). ყოველ ახალ რესპონდენტს რეკრუტების მოსაზიდად კვლავ გადაეცემოდა სამი კუპონი და ა.შ. რეკრუტირების წახალისება ასევე ფულადი ინსენტივით ხდებოდა. კუპონების გაცემა შეწყდა, როგორც კი მივაღწიეთ გამოკითხულთა სასურველი რაოდენობის 70%-ს (სულ გაიცა 495 კუპონი).

კუპონი შეიცავდა კვლევითი ცენტრის მისამართს, ინფორმაციას კვლევაში მონაწილეობისა და რეკრუტირების კრიტერიუმების, წამახალისებელი ფულადი ჯილდოს ოდენობის შესახებ. თითოეულ კუპონს ენიჭებოდა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. ყოველი გაცემული და დაბრუნებული კუპონის ჩაწერა/შეყვანა ხდებოდა სპეციალურად შექმნილ მონაცემთა ბაზაში, რომელიც საშუალებას იძლეოდა გაკონტროლებულიყო გაცემული კუპონები. თითოეულ კუპონს ებმოდა მის მიერ რეკრუტირებული კუპონების ნომრები. ამით კვლევაში გაყალბებული კუპონების მიღების შესაძლებლობა გამოირიცხა.



სურათი 2: კვლევაში ჩართვის ექვსი ჯაჭვი, რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევისთვის თბილისში. წითელი წრეებით გამოსახულია კვლევაში მონაწილე თითოეული ინდივიდი, ისრებით ნაჩვენებია კვლევაში რეკრუტირების მიმართულება, ხოლო რიცხვები კვლევაში მათი მონაწილეობის რიგითობას მიუთითებს.

ყველა ქალაქიდან მიღებული მონაცემების მიხედვით შედგენილი და შემდეგ გაერთიანებული მონაცემთა ბაზა SPSS v16 პროგრამით გაანალიზდა (მონაცემთა ბაზაში იმპორტირებულ იქნა გასუფთავებული მონაცემები 491 ადამიანის შესახებ). რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდით ($n=250$) მიღებული მონაცემები RDSAT v.6 პროგრამით გაანალიზდა.

კვლევის მიზანები


დემოგრაფიული მონაცემები

„შემოწმებული მომხმარებლების“ და „შემოწმებული არამომხმარებლების“ ჯგუფების დემოგრაფიულ მონაცემებს შორის არანაირი მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

კვლევაში მონაწილეთაგან მინიმალური ასაკის იყო 18 წლის, მაქსიმალური კი – 64 წლის, მონაწილეთა საშუალო ასაკმა შეადგინა 31.38 წელი. გამოკითხულთა შორის იყო 2 ქალი (0.41%). გამოკითხულთა უმეტესობა ქართველია (93.3%), 2.9% –სომები, 2% –ოსი, 1.8% –სხვადასხვა ეროვნების.

რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს მიღებული ჰქონდა სრული უმაღლესი განათლება – 39.71%


- არასრული საშუალო განათლება
 - სრული საშუალო განათლება
 - არასრული უმაღლესი განათლება
 - სტუდენტი
 - სრული უმაღლესი განათლება
 - დოქტორის ან მაგისტრის ხარისხი
- განათლება



სურათი 3: რესპონდენტების განათლება

მონაწილეთა თითქმის ნახევარი ოფიციალურად დაქორწინებული იყო (სურათი4).


- დასაოჯახებელი (არასოდეს ყოფილა დაქორწინებული)
- ოფიციალურად დაქორწინებული
- ერთად ცხოვრობენ, პარტნიორები არიან, მაგრამ ქორწინების გარეშე
- დაშორებული, განქორწინებული
- ქვრივი



სურათი 4: მონაწილეების ოჯახური მდგომარეობა

საცხოვრებელი გარემოს მიხედვით გამოკითხულთა 12.6% ცხოვრობდა ქირით, 27.3% – საკუთარ სახლში, 54.4% – ოჯახის წევრის სახლში (რომელიც არ იყო მისი საკუთრება), სქე-სობრივი პარტნიორის სახლში – 1%, მეგობრის სახლში – 2.3%, თავშესაფარში – 0.8%, სახლ-ში, სადაც არ მიუღია ცხოვრების უფლება ან დანგრეულ შენობაში – 0.2%, სხვაგან – 1%, თავი შეიკავა – 0.4%.


არც ერთი ეს მახასიათებელი არ იყო მნიშვნელოვნად განსხვავებული „შემოწმების დროს მომხმარებლებისა“ და „არამომხმარებლების“ ჯგუფებს შორის.



სურათი 5: დასაქმების სტატუსი

გამოკითხულთა უმრავლესობა უმუშევარი იყო — 73.52%, მათ შორის 61.51% ეძებდა სამსახურს (სურათი 5).


ვინაიდან გამოკითხულთა დიდი ნაწილი უმუშევარი იყო, მათი შემოსავლებიც დამოკიდებული იყო სხვადასხვა წყაროზე — ოჯახის წევრები, მეგობრები, არალეგალური შემოსავლები და სხვ. (სურათი 6).



სურათი 6: საარსებო საშუალებები

რესპონდენტების უმრავლესობის ყოველთვიური შემოსავალი 100-დან 300 ლარამდე იყო. (სურათი 7).


შემოსავლის ოდენობა



სურათი 7: რესპონდენტების ყოველთვიური შემოსავალი


ნარკოტიკებზე შემოსავალის ისტორია

როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტების უმრავლესობა (62.12%) 2008 წელს იყო დაკავებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ნარკოტიკებზე შემონმდა მხოლოდ ერთხელ. 2008 წელს ერთი ადამიანის შემონმების შემთხვევების მაქსიმალური რაოდენობა იყო 10 (სურათი 8).



სურათი 8: კვლევაში ნარკოტიკებზე შემონმების შემთხვევების რაოდენობაერთ პირზე

რესპონდენტებს ვთხოვთ გაეხსენებინათ ყველა პროცედურა, რომლის გავლაც დაკავების შემდეგ მოუხდათ.




სურათი 9: ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების და შემდგომი სამართლებრივი პროცედურების სქემატური აღნერა

რესპონდენტების მონაცემების მიხედვით, ისინი სხვადასხვა ადგილას დაკავების ყველაზე ხშირი ადგილი იყო ქუჩა. დეტალური სქემა მოცემულია 1 ცხრილში:

	სიხშირე	%
ფეხით ვიყავი, ქუჩიდან ამიყვანეს	336	68.43
მანქანიდან ამიყვანეს	73	14.87
ტაქსიდან ამიყვანეს	27	5.5
აფთიაქიდან/აფთიაქთან ამიყვანეს	24	4.89
საკუთარი სახლიდან გამიყვანეს	9	1.83
სხვისი სახლიდან ამიყვანეს	5	1.02
კაზინოდან, სლოტ კლუბიდან ამიყვანეს	5	1.02
სასწავლებლის ეზოდან ამიყვანეს	5	1.02
მატარებლიდან ან რკინიგზის სადგურიდან ამიყვანეს	2	0.41
სხვა	5	1.01
ჯამი	491	100

ცხრილი 1: ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ადგილები

დაკავება ორგანიზებული იყო საპატრულო პოლიციის და კრიმინალური პოლიციის მიერ. დაკავების შემთხვევები თითქმის თანაბრადაა განაწილებული ამ ორ პოლიციურ ორგანოს შორის (სურათი 10).



სურათი 10: საპატრულო და კრიმინალური პოლიციის მონაწილეობა


ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარსადგენი პირის დაკავების პროცესში.

ნარკოტიკებზე შემოწერასა და შემდგომ პროცედურებზე დახარჯული დროის გამოთვლა

იმისათვის, რომ განვიხილავთ განვიხილავთ, თუ რა დროს ხარჯავს პოლიცია საშუალოდ ერთი ადამიანის ნარკოტიკესტირებაზე, გამოვითვალეთ დაკავების ხანგრძლივობა(i), დაკავებიდან ნარკოტიკესტირებამდე (ii) და ნარკოტიკესტირებიდან სასამართლომდე წარდგენის დრო (iii), ასევე სამართალდამცავთა რაოდენობა, რომლებიც თან ახლდნენ დაკავებულს დროებით ან მუდმივად. პირის დაკავებისას სამართალდამცავები უმეტესად ჯგუფურად მუშაობენ, რაც კვლევამაც დაადასტურა. კვლევის შედეგების თანახმად, საშუალოდ მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 8-კაციანი ჯგუფები დაფიქსირდა სამართალდამცავების მიერ პირის დაკავებისას, ხოლო საშუალოდ ერთი პირის დაკავებისთვის 2.7 პოლიციელი მუშაობდა (სტანდარტული ცდომილება 0.04; სტანდარტული გადახრა 0.95).

დაკავების შემდეგ ნარკოტესტირებაზე წარსადგენად, დაკავებულს თან ახლდა სამართალ-დამცავების სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფი, რომელიც მეტ-ნაკლებად მთლიანი შემად-გენლობით ელოდებოდნენ და ესწრებოდნენ ნარკოტესტირების პროცედურას. შესაბამისად შეკითხვაზე, თუ რამდენი სამართალდამცავი გახლდათ მუდმივად, დაკავებიდან ნარკოტე-სტირებამდე, ჯგუფში სამართალდამცავთა რაოდენობა საშუალოდ 2.45 მივიღეთ (მინ.1; მაქ.6. სტანდარტული ცდომილება 0,03; სტანდარტული გადახრა 0,75).

ასევე გამოვითვალეთ სამართალდამცავების მიერ დახარჯული ადამიანური რესურსი (კაც*საათი) დაკავებიდან ნარკო-ტესტირებამდე, რამაც საშუალოდ 3.57 კაც*საათი შეადგინა. ნარკოტესტირების დაწესებულებებში უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავებს უხდებო-დათ რიგში დგომა, შესაბამისად ისინი დაკავებულებთან ერთად ელოდებოდნენ ტესტირების პროცედურის დამთავრებას, რამაც საშუალოდ 3.28 კაც*საათის რესურსი მოითხოვა. შემ-დეგში ტესტირების პასუხი ოქმით დასტურდება და პასუხიდან გამომდინარე ან გრძელდება სასამართლოში (შარდში ნარკოტიკის შემცველობაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში) ან წყდება (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში). დადებითი პასუხის შემთხვევაში, თუ სასამართ-ლო პროცესი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩატარდება იმავე დღეს, დაკავებულს ან ათა-ვისუფლებენ სასამართლომდე ან აპატიმრებენ (სურათი 11).




სურათი 11: ნარკოტიკებზე შემოწმების შემდეგ განვითარებული სცენარი

თავად სასამართლო პროცესმა საშუალოდ 1.58 კაც*საათის პოლიციური რესურსი წაიღო. ჯამში ტესტირების ერთ ეპიზოდში, ყველა ჩამოთვლილ პროცედურაზე საშუალოდ პოლიცი-ის 8.43 კაც*საათი დაიხარჯა.

2008 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ გამოკითხულთა 62,12%-ს დაეკისრა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევისთვის. მათ შორის ერთხელ — 71.62%-ს, 2-ჯერ — 22.3%-ს, 3-ჯერ — 4.39%-ს და 4-ჯერ — 0.34%-ს. ამ სამართალდარღვევისთვის ოფიციალურად გადახდილმა თანხამ ჯამში შეადგინა 256,567 ლარი, საშუალოდ კი ერთმა დაჯარიმებულმა 849,55 ლარი გადაიხადა (მაშინ, როცა საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 147.2 ლარი იყო (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011წ.)).


აღნიშნული თანხების მოძიება სხვადასხვა წყაროდან ხდებოდა (იხილეთ სურათი 12).



სურათი 12: ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდის წყაროები


ქვევითი ცვლილებები

კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო გაგვერკვია, უბიძგებს თუ არა სადამსჯელო ზომები ნარკოტიკების მომხმარებლებს, შენყვიტონ არალეგალური ნივთიერებების გამოყენება. ამის გათვალისწინებით, კითხვარში რამდენიმე შეკითხვა დასჯის შემდგომ ქცევის ცვლილებებს ეხებოდა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შერჩევაში ჩართული იმ პირებიდან, რომელთა ანალიზმაც დადებითი პასუხი აჩვენა და რომლებიც ნარკომომხმარებლები იყვნენ შემოწმების დროს, 177-მა ადამიანმა (ქვეშერჩევის 54%) თავისი ქცევა ნარკოტიკების მოხმარების მხრივ საერთოდ არ შეცვალა; 36-მა ადამიანმა (11%) ნარკოტიკების მოხმარება შეწყვიტა, ხოლო დანარჩენები ნარკოტიკების მოხმარების სხვა ფორმებზე გადავიდნენ (სურათი 13).



სურათი 13: ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევის ცვლილება
ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სასჯელის შემდეგ


ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, ცვლილების რეალური სურათის აღსაქმელად, სხვადასხვა სახის მოხმარება ერთ კატეგორიაში გავაერთიანეთ, რამაც გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 89% არ წყვეტს ნარკოტიკების მოხმარებას (სურათი 14).



სურათი 14: ინტერვენციის ეფექტურობა ნარკოტიკების მოხმარების სრული შეწყვეტის მხრივ, დადებითი ტესტის და სანქციის შემდეგ

იმ გამოკითხულებს (36 რესპონდენტი), რომლებმაც თავი დაანებეს ნარკოტიკების მოხმარებას სადამსჯელო ზეგავლენის გამო, დაუსვეს დამატებითი შეეკითხვა — თუ რამდენი ხნით შეწყვიტეს ნარკოტიკების მიღება. პასუხმა აჩვენა, რომ მათმა უმრავლესობამ განაახლა ნარკოტიკების მიღება დასჯის შემდეგ სამი თვის განმავლობაში, უკლებლივ ყველა მათგანი კი მიუბრუნდა ნარკოტიკებს 11 თვის თავზე (სურათი 15).

რამდენი ხნით ჟეცვებიერ ნარკოტიკების მოხმარება? შეკითხვა 36 რესპონდენტს, რომელთაც განაცხადეს ნარკოტიკების მოხმარების ჟეცვებაზე



სურათი 15: აბსტინენციის ხანგრძლივობა ნარკოტიკებზე შემოწმების და შემდგომი სასჯელის შემდეგ (მათ შორის, ვინც განაცხადა, რომ ნარკოტიკების მოხმარება შეწყვიტა)

მაშასადამე, დასჯიდან თერთმეტი თვის გავლის შემდეგ განხორციელებული სადამსჯელო ზომების ეფექტი საერთოდ გაქრა და ნულს გაუტოლდა.

სახელმიწოდებულის საპირულო დანახარჯების გამოთვლა

მიზანი, ინსტრუმენტები და მიზნები

კვლევის ამ ნაწილის მთავარი ამოცანა იყო დაგვეღვინა ის ხარჯი, რომელსაც ქვეყანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების აღსასრულებლად იღებს – ეს არის ის მუხლები, რომელთა მოქმედების არეალში ხვდებიან ნარკოტიკების გამოყენებაში ეჭვმიტანილი პირები.

ამ მუხლების შესრულების პროცესში ჩართულია სახელმწიფო სისტემის შემდეგი რგოლები: საპატრულო პოლიცია, კრიმინალური პოლიცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოლოგიური ტესტირების დაწესებულებები, ადმინისტრაციული და სისხლის საქმეთა სასამართლოები, პროკურატურა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (ციხე).

ძირითადი ამოცანა დაიყო ქვეამოცანებად.კერძოდ, აუცილებელი გახდა ძირითადი ხარჯის წარმოდგენა თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი უწყების ხარჯის ჯამად, რომელიც მათ გაიღეს ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების აღსრულების საქმეში.

ჩვენი მიზანი გახლდათ ჩამოთვლილი სახელმწიფო უწყებების ბიუჯეტებიდან გამოგვეყო მხოლოდ ის განეული დანახარჯები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისა და შემოწმების პროცესზე გამოიყენებოდა, შემდეგ კი გამჭვირვალედ აღგვენერა ყველა დაშვება, რომელიც ამ პროცესისთვის იყო საჭირო.

ინტერვენციის ხარჯი

ზემოთ დასახელებული უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგი შესაძლოა იყოს, მაგ.:

1. დრო, რასაც პოლიციელი თავისი ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას ხარჯავს – საპატრულო და კრიმინალური პოლიციისთვის;
2. ანალიზების რაოდენობა, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში შესრულდა – ტოქსიკოლოგიური (ნარკოლოგიური) შემოწმების დეპარტამენტისთვის;
3. საქმეების რაოდენობა, რომლებიც პროკურატურასა და სასამართლოებში განიხილეს, ანუ მათ მიერ ამ საქმეებზე დახარჯული დრო — პროკურორის ოფისისა და სასამართლოებისთვის;
4. ადამიანები ციხეებში (ან, უფრო ზუსტად, პატიმარი-დღეები) წლის განმავლობაში და მათთვის განეული შესაბამისი მომსახურებები – პენიტენციური დეპარტამენტისთვის.

მონეტარიზაცია: ძირეული ხარჯების ცნება

მას შემდეგ, რაც ჩვენ ვთანხმდებით ფალკეული უწყებების საბოლოო შედეგის აღწერაზე, წარმოიშობა მასთან დაკავშირებული მომდევნო საკითხი – თუ რა არის ამ საბოლოო შედეგის ანუ მომსახურების ფულადი ღირებულება. ამ პროცესს „მონეტარიზაცია“, ან „ხარჯების დადგენა“ ჰქვია.

ბულალტრული წარმოების მქონე სისტემებში განეულ ხარჯებში შედის „ძირეული ხარჯი“,⁶ ე.ი. ყველა ფულადი ხარჯი, რაც კი სისტემას გაუწევია.

ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, პოლიციელზე, რომელიც ქუჩაში დგას, სახელმწიფო ხარჯავს არა მხოლოდ ხელფასს გაცემული ანაზღაურების სახით, ან იხდის საწვავის ფულს, რათა მას ჰქონდეს გადაადგილების საშუალება მოვალეობის შესრულების დროს. თვითღირებულებაში შედის ყველა ის ხარჯი, რომელიც საჭიროა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონირებისთვის – ეს არის ადმინისტრაციის, ოპერატორების, დამღამებლების, სხვადასხვა სერვისის მომწოდებლების (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ელექტროენერგია და ა.შ.) ხარჯი, რომლის განევა აუცილებელია იმისათვის, რომ პატრულს ჰქონდეს კოორდინირებული მოქმედების შესაძლებლობა.

ამგვარად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ძირითადი ალტერნატიული ხარჯი (opportunity costs)⁷ არის ხარჯი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი ალნიშნული დეპარტამენტის ფუნქციონირებისთვის.

ანალოგიური მსჯელობა სამართლიანია ასევე პროკურატურისა და სასამართლო სისტემების მიმართ. მათზე, ასევე ნარკოლოგიური ტესტირების სამსახურისა და სასჯელალსრულებითი დეპარტამენტის ხარჯზე, უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

დროის გამოთვლა

ამა თუ იმ სისტემის მიერ შექმნილი მომსახურების თვითღირებულების გამოთვლით ვლებულობთ სისტემის საერთო ხარჯს, რომელიც გარდა ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლებისა, მოიცავს ასევე სხვა სამართლადარღვევებზე ამ სისტემების რეაგირების ხარჯს. შესაბამისად, შემდეგი ნაბიჯია საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების აღსრულებისთვის განეული ხარჯების გამოცალება მთლიანი, ძირეული ღირებულებიდან.

6 საბულოოტრო აღრიცხვისა და მენეჯერულ თეორიაში, ძირეული ხარჯი წარმოადგენს ყველა პირდაპირ მატერიალურ ხარჯს, შრომის პირდაპირ ხარჯს და პირდაპირ დანახარჯებს (Garrison, Noreen,&Brewer, 2009)

7 ალტერნატიული ხარჯი არის ის ხარჯი, რომელიც უკავშირდება რიგით მეორე საუკეთესო არჩევანს, რომელიც ხელმისაწვდომია იმ პირისთვის, ვინც მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ვარიანტიდან ერთი არჩია და ეს განიხილება როგორც ეკონომიკის, კერძოდ კა, მიკროეკონომიკის მთავარი ცნება (Parkin, 2000). მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ტერმინი „ალტერნატიული ხარჯები“ (“opportunity costs”) არ არის გაგებული მხოლოდ ფულადი მნიშვნელობით, არამედ ის ღირებულების მქონე ნებისმიერ რამეს წარმოადგენს (მაგ. დრო, ბუნებრივი რესურსები, პოლიტიკური რეზუტაცია, პოპულარობა და სხვ.). ფულადი ღირებულება შესაძლოა მიესადაგოს, ან არ მიესადაგოს (ალტერნატიულ) ხარჯებს მოგვიანებით ეტაპზე.

თუ ჩვენ გვეცოდინება დრო, რომელსაც სისტემა ახმარს აღნიშნული მუხლების აღსრულებას და ასევე, თუ გვეცოდინება იმ შემთხვევათა რაოდენობა, რომლებიც კლასიფირდა ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების მიხედვით, მაშინ შესაძლებელი გახდება ზუსტად დადგინდეს სისტე-მის მიერ ამ აქტივობებზე გაწეული ხარჯიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის არეალში ექცევიან საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების დარღვევაში ეჭვმიტანი-ლი პირები. კვლევის პერიოდად კი 2008 წელი იქნა აღებული. ხარჯები ეროვნულ ვალუტაშია (ლარი) გამოთვლილი.⁸

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების საფუძველზე გაწეული ძირეული ხარჯების გამოსათვლელად აუცილებელი მონა-ცემები სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებიდან არის მოპოვებული. ოფიციალური წერილების გარდა, ინფორმაცია ასევე მიღებულ იქნა სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებიდან და, როცა აუცილებელი იყო, სახელმწიფო ოფიციალურ პირებთან გამართული კონსულტაციების მეშვეობით.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა სისტემის მიერ ზემოხსენებული მუხლების აღ-სრულებისთვის დახარჯული დროის შესახებ, მიღებულ იქნა გამოკითხვების შედეგად, რო-გორც ეს ზემოთ აღვწერეთ.

მეთოდოლოგიურად, ეს არის შედარებით პირდაპირი მიდგომა, მაგრამ ერთადერთი, რაც საქართველოს სიტუაციას მიესადაგება. განვითარებულ მსოფლიოში რამდენიმე უფრო სიღ-რმისეული (და უფრო ზუსტი) სისტემაა გამოყენებული სახელმწიფო ადმინისტრაციაში; ABC (აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯების განსაზღვრა; იხილეთ, მაგ. Bruns & Kaplan, 1987 წ.) მი-იჩევა როგორც ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდი განვითარებული ქვეყნების სამართალდამცავ და სამხედრო სტილის ორგანოებში და სასარგებლო იქნებოდა მისი გამოყ-ენება ჩვენს კვლევაშიც. სამწუხაროდ, საჯარო ადმინისტრაციული ხარჯების მონიტორინგი საქართველოში ჯერ კიდევ გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

1. საპატრულო პოლიცია

კვლევის მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებაში ჩართული პირველი ჯგუფები არის საპატრულო პოლიცია და კრიმინალური პოლიცია (შემთხვევების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო ამ ორი დეპარტამენტისთვის – იხილეთ სურათი 10).

იმდენად, რამდენადაც კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისგან ვერანაირი მონაცემების მოპოვება ვერ მოხერხდა, ამ უწყების ხარჯების კალკულაცია ვერ მოხვდა ჩვენს გამოთვლებ-ში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი განსხვავება საპატრულო და კრიმინალ-ური პოლიციის ქმედებებს შორის არის ის, რომ კრიმინალურ პოლიციას პიროვნება დაკავების შემდეგ მიჰყავს საკუთარ ოფისში დაკითხვის მიზნით, რომლის შემდეგაც ხდება ეჭვმიტანი-

⁸ საშუალო მაჩვენებელი იყო 1.65 ლარი = 1 აშშ დოლარი, 2008 წელს.

ლის გადაყვანა ნარკოლოგიური შემოწმების უწყებაში, მაშინ როცა პატრულის შემთხვევაში, ეჭვმიტანილი პირდაპირ ტესტირებაზე მიჰყავთ(სურათი 9). ამგვარად, გზა, რომელსაც გადის დაკავებული კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელთან ერთად, შედარებით ძვირია (დამ-ატებითი დრო იხარჯება ეჭვმიტანილის დაკითხვაზე კრიმინალური პოლიციის ოფისში, რაც საპატრულო პოლიციის შემთხვევაში არ ხდება). აქედან გამომდინარე, თუ ხარჯების გამოთ-ვლაში ჩვენ დავუშვებთ, რომ ეჭვმიტანილთა დაკავება ხდებოდა მთლიანად პატრულის მიერ, მივიღებთ შემცირებულ, თუმცა გადაუჭარბებელ ხარჯით მოცულობას (აღსანიშნავია, რომ შემდგომ მსჯელობებშიც დაშვებები გაკეთებულია მინიმალისტური მიმართულებით).

მივყვეთ გამოთვლების მეთოდოლოგიას და დავადგინოთ ის ხარჯი, რომელიც 2008 წელს გასწია საპატრულო პოლიციამ ნარკოტიკების მომხმარებელთა დაკავების შედეგად.

- ა. 2008 წელს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბიუჯეტმა შეადგინა 59.824 მლნ ლარი (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2009ა);
- ბ. ამავე წელს დეპარტამენტში მუშაობდა 2005 საპატრულო პოლიციელი (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2009ბ). პროდუქტი, რომელიც შეიქმნა პატრულის პოლიციელების მიერ, არის ის დრო, რომელიც მათ დაყვეს სამუშაო მოვალეობის შესრულების პროცესში. საქართველოს შრომითი კოდექსის მიხედვით სამუშაო დრო ერთი დასაქმებულისთვის არის 40 საათი კვირაში, რამაც 2008 წლის განმავლობაში დღესასწაულების გამოკლებით 1,856 საათი შეადგინა.⁹ საპატრულო პოლიციელებისა და სამუშაო საათების ნამრავლი გვაძლევს სისტემის მიერ 2008 წლის განმავლობაში შექმნილ პროდუქტს – 3,721,280 კაც. საათი, რომელიც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე 59,824 მლნ ლარი დაუჯდა (საპატრულო დეპარტამენტის ბიუჯეტი). აქედან უკვე ადვილია იმის დადგენა, თუ რა ჯდება სისტემის მუშაობის ერთი კაც*საათი:

$$1 \text{ კაც*საათის ხარჯი} = \frac{59.824 \text{ მლნ ლარი}}{\frac{3,721,280 \text{ კაც*საათი}}{(2008 \text{ წლის პროდუქტი})}} = 16 \text{ ლარი}$$

- გ. პოლიციის სისტემის მიერ შექმნილი პროდუქტის თვითლირებულების გამოთვლის პარალელურად, როგორც ზემოთ მივუთითებდით, გამოკითხვამ დაადგინა, რომ ერთი დაკავების საშუალო შემთხვევაში გამოიყენებოდა საპატრულო პოლიციის რესურსი 8.43 კაც/საათის ოდენობით.

2008 წელს ჩატარდა 43,029 შემოწმება ნარკოტიკების მიღების ფაქტის დასადგენად (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2009გ).

საბოლოო დასკვნისთვის – თუ რა დახარჯა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირების დაკავების შედეგად, საჭიროა მარტივი მათემატიკური გამრავლება:

⁹ საათების ამ რაოდენობაში შედის ანაზღაურებადი 22-დღიანი შვებულებაც

1 კაც*საათის ხარჯი * პატრულის მიერ 2008 წელს დაკ. პიროვნ. რაოდენ * კაც*საათების რაოდენობა, რომელიც საშუალოდ დაიხარჯა ერთ დაკავებაზე

16 ლარი * 43,029 * 8.43 კაც/საათი = **5.803 მლნ ლარი**

2. ნარკოლოგიური ტესტირების სამსახური

ნარკოლოგიური ტესტირების სამსახურის ხარჯის გამოთვლა მას შემდეგ გამარტივდა, რაც ამ უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ სამსახური შექმნილია და მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ტესტირება ჩაუტაროს ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილ პირებს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ პროდუქტის ხარჯი, ანუ თვითღირებულება, რომელსაც ქმნის ნარკოლოგიური ტესტირების სამსახური, არის ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი თანხა.

ნარკოლოგიური ტესტირების სამსახურიდან ჩვენ გამოვითხოვეთ ამ უწყების ბიუჯეტი, თუმცა მათგან მხოლოდ სახელფასო ფონდისა და ტესტირების მასალების ხარჯების მონაცემები მივიღეთ, რამაც **1.528 მლნ ლარი** შეადგინა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2009ბ). სხვა ხარჯები, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, კაპიტალური ხარჯი, სხვა საქონელი და მომსახურება, რომელთაც უწყებების ბიუჯეტებში დიდი ხვედრითი წილი უკავიათ, ვერ მოვიპოვეთ. ამდენად, ხარჯი, რომელიც ნარკოლოგიური ტესტირების სამსახურის წილად მოხვდა ჩვენს გამოთვლებში – წარმოადგენს ამ სამსახურის რეალური ხარჯის შემცირებულ მონაცემს.

3. პროკურატურა

დაწვრილებით აღვნერეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბიუჯეტიდან ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებაზე გაწეული ხარჯების გამოთვლის მეთოდოლოგია. ანალოგიური მიდგომა იქნა გამოყენებული პროკურატურის შემთხვევაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის ხარჯების გამოთვლისას დათვლილი იქნა ის შემთხვევები, რომლებზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, კოდექსის 273-ე მუხლით. წარსულში ამ პოზიციაზე მყოფ და მოქმედ 11 პროკურორთან არაფორმალური ინტერვიუს შედეგად დავადგინეთ დრო, რომელსაც პროკურორი ხარჯავს 273-ე მუხლით აღძრული ერთი საქმის გამოძიებაზე. როგორც მათთან საუბრიდან გაირკვა, 273-ე მუხლით მიმდინარე ერთი საქმის წარმოება პროკურორისგან მინიმუმ 10.5 სამუშაო საათს მოითხოვს. ზემოთ აღწერილი შემთხვევების მსგავსად, აქაც არასრული შეფასება გამოვიყენეთ და კვლევის კონსერვატიული მიღების შევინარჩუნეთ.

მონაცემები, რომლებიც მოვიძიეთ, შემდეგია:

ა. პროკურატურის ბიუჯეტი – 20,700 მილიონი ლარი (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2007 წ.);

ბ. პროკურორების რაოდენობა — 394, ხოლო პროკურატურაში 2008 წელს კაც*საათების რაოდენობამ 731,264 კაც*საათი შეადგინა (394 საზოგადოებრივი პროკურორი x 1856 სამუშაო საათზე 2008 წელს).

აქედან გამომდინარე, დაანგარიშდა პროკურატურაში ერთი კაც/საათის ღირებულება:

$$1 \text{ კაც*საათის ხარჯი} = \frac{30.181 \text{ მლნ ლარი}}{\begin{matrix} 731,264 \text{ კაც*საათი} \\ (2008 \text{ წლის პროდუქტი)} \end{matrix}} = 41 \text{ ლარი}$$

გ. პროკურორი, სულ მცირე, 10.5 სამუშაო საათს ატარებს 273-ე მუხლის საფუძველზე აღძრული საქმის წარმოებაზე, ხოლო 2008 წელს სასამართლოში გადაცემული საქმეების რაოდენობამ 4,423 შეადგინა (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009), და, შესაბამისად, პროკურატურის საერთო დანახარჯი საქმის წარმოებაზე 2008 წელს შემდეგნაირად შეიძლება გამოითვალის:

1 კაც*საათის ხარჯი * 2008 წელს 273 მუხლით აღძრული საქმეების რაოდენობა * კაც*საათების რაოდენობა, რომელიც დაიხარჯა ამ საქმეების წარმოებაზე.

$$41 \text{ ლარი} \times 4,423 \times 10.5 = 1.904 \text{ მილიონი ლარი.}$$

4. სასამართლოები

სასამართლოებისთვისაც გამოთვლის ანალოგიური მეთოდი იქნა გამოყენებული. მოსამართლეების მიერ საქმეების წარმოებაზე დახარჯული დრო აღებულია, როგორც სასამართლო სისტემის საბოლოო შედეგი.

ჩვენ მიერ შემდეგი მონაცემები იქნა მოპოვებული:

- ა. 2008 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების ბიუჯეტმა 33.065 მლნ ლარი შეადგინა (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011 წ.). განმარტებისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა საქმე, რომელიც განხილულ იქნა 2008 წელს ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლით, პირველი ინსტანციის სასამართლოებზე მოდის;
- ბ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-გვერდის მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ 249 მოსამართლე მუშაობს (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2010 წ.).

2008 წელს სამუშაო საათების რაოდენობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გამრავლების შედეგი არის პირველი ინსტანციის სასამართლოების კაც*საათები (462,144 კაც*საათი).

$$1 \text{ კაც*საათის ხარჯი} = \frac{33.065 \text{ მლნ ლარი}}{\begin{matrix} (I \text{ ინსტანციის სასამართლოების ბიუჯეტი)} \\ 462,144 \text{ კაც*საათი} \\ (2008 \text{ წლის პროდუქტი)} \end{matrix}} = 72 \text{ ლარი}$$

- ბ. გამოკითხვამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა მინიმალური დრო, რაც მოსამართლეს სჭირდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლებით აღძრული საქმის განსახილველად, რაც საშუალოდ ნახევარი საათია. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ეს დრო მხოლოდ სასამართლო მოსმენებისთვის არის გამოყენებული და არ მოიცავს იმ დროს, რომელსაც მოსამართლე უთმობს საქმის შესწავლას.
- დ. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლებით აღძრული და სასამართლოში განხილული საქმეების რაოდენობა 2008 წელს იყო 11,950 და 4,423, შესაბამისად.

ანალოგიური მათემატიკური გამოთვლების შედეგად დადგინდა სასამართლო სისტემის ხარჯი ასკ 45-ე და სსკ 273-ე საქმეების განხილვაზე – რამაც **658.459** ათასი ლარი შეადგინა.

5. პენიტენციური დეპარტამენტი

(სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო)

ციხის სისტემის ძირეული ხარჯები შეიძლება პირდაპირი გზით გამოითვალის:

- ა. პენიტენციური სისტემის ბიუჯეტი 2008 წელს — 93.720 მილიონი ლარი (სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, 2009 წ.);
- ბ. პატიმრების რაოდენობა 2008 წელს — 18,659 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 2009 წ.);
- გ. 2008 წელს 273-ე მუხლის დარღვევისთვის პატიმრობა შეეფარდა 1,605 ადამიანს (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009a), ხოლო ციხეში გატარებული საშუალო დრო ერთი წელია. ქუჩაში რანდომულად შემოწმების შედეგად „ახლად აღმოჩენილი“ 1,605 პატიმრის გისოსებს მიღმა შენახვის ხარჯი **8.061 მილიონი ლარი** იყო.

ამრიგად, მთლიანობაში ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების აღსრულება სახელმწიფოს 2008 წელს დაახლოებით **18 მილიონი ლარი** დაუჯდა (სურათი 16).

ჯამი	17,956,647
საპატრულო პოლიცია (დაკავება, ტესტირება, სასამართლოში წარდგენა) – 5,803,751	
ნარკოლოგიური ექსპერტიზა – 1,528,679	
პროკურატურა (სსკ 273 მუხლით აღძრული საქმეები) – 1,904,101	
სასამართლო (ადმინისტრაციული 45 და სსკ 273 მუხლი) – 658,459	
პატიმრობა (სსკ 273 მუხლი) – 8,061,657	

სურათი 16: ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების აღსრულებაზე 2008 წელს
სახელმწიფოს მიერ დახარჯული თანხა უწყებების მიხედვით

ეკონომიკური მოდელი

18 მილიონზე ოდნავ მეტი ლარი (ზუსტად კი 18,076,245ლარი) იქნა გადახდილი 2008 წელს ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჯარიმებისა და საპროცესო გარიგების სახით (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009ბ).


თუ ამ ორ მონაცემს, ერთი მხრივ სახელმწიფო ხარჯს ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების აღსრულებაზე და მეორე მხრივ ამ მუხლების აღსრულების შედეგად მიღებულ სახელმწიფო შემოსავლებს ერთმანეთს შევადარებთ, მაშინ თითქოს ყველაფერი რიგზეა. შემოსავლები დაახლოებით უტოლდება ხარჯებს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის კუთხით, ინტერვენციის საკმად ნორმალურ დაგეგმვაზე მეტყველებს.

თუმცა არსებობს სხვაგვარი ხედვაც: როდესაც ხარჯების შეფასებაზეა საუბარი, გასათვალისწინებელია ამ ხარჯების ალტერნატიული ღირებულებაც.¹⁰ მართლაც, საზოგადოებრივი თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯი ასკ 45-ე და სსკ 273-ე მუხლების აღსრულებაზე და ამ მუხლებით მსჯავრდებულ პირებზე დაკისრებული ჯარიმები და საპროცესო შეთანხმებები, სხვა არაფერია თუ არა ამ საზოგადოების ხარჯი. ეს ხარჯი ერთობლიობაში უნდა იქნას განხილული იმ მოსაზრებით, თუ რას თმობს საზოგადოება, როდესაც თანხმდება იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გატარებაზე სახელმწიფოს მხრიდან? რა არის ის ალტერნატიული მიმართულება, რომელშიც შეიძლებოდა ეს თანხა გახარჯულიყო და რა იქნებოდა ამგვარი ხარჯვის ეფექტურობა?

10 გაიხსენეთ მოკლე დისკუსია ალტერნატიული ხარჯების შესახებ, ზემოთ.

პასუხად შეკითხვაზე, თუ რამდენად იქონია გავლენა სასჯელის სხვადასხვა ზომამ, მას შემდეგ, რაც პიროვნება აღმოჩნდა ბრალდებული ნარკოტიკების მოხმარებაში – იყო ის, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 11%-მა აღნიშნა, რომ თავი დაანება ნარკოტიკების მოხმარებას და ისიც მხოლოდ რამდენიმე თვით. მიღებული შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს პირობებშიც იგივე კანონზომიერება მუშაობს, რაც სხვა ქვეყნებში. ნარკოტიკებისა და დანაშაულის გაეროს ოფისის (UNODC) მონაცემების თანახმად, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო დაპატიმრებულთა 70-98% ნარკოტიკების მოხმარებას უბრუნდება სასჯელის მოხდიდან ერთიწლის განმავლობაში, თუ მათ არ ჩაუტარდათ ეფექტური მკურნალობა (UNODC, 2003).¹¹

მეორე მხრივ, არსებობს ემპირიულ ფაქტებზე დაკვირვებით გაკეთებული მრავალი კვლევა, რომლებიც ადასტურებენ ნარკოტიკების მომხმარებლებთან დაკავშირებით არაძალადობრივი ქმედებების უპირატესობასა და ეფექტურობას. კვლევებმა ცხადყო, რომ წამალდამოკიდებულების მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს კრიმინალურ ქცევას და მკურნალობის ეკონომიკური სარგებელი რამდენჯერმე აჭარბებს მის ღირებულებას (Stevens et al, 2005; UNODC 2003). ილუსტრაციისთვის იხილეთ სურათი 17 და ცხრილი 2.



სურათი 17: ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის ხარჯი აშშ-ში
(ერთ სულზე, ერთი წლის განმავლობაში) (UNODC, 2003წ.)

სოციალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დანახარჯი	შემცირება ერთი წლის განმავლობაში მეთადონურ პროგრამაში ყოფნისას
საკუთრების ძარცვა	64%
დაპატიმრება (ზოგადად)	54%
დაპატიმრება ნარკოდანშაულის გამო	63%
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	65%
ჰოსპიტალიზაცია სტაციონარში	59%
ჰოსპიტალიზაცია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში	55%

ცხრილი 2: მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის შედეგი კრიმინალურ ქცევის და პაციენტის ჯანმრთელობის თვალსაზრისით (Verster & Buning, 2003).

¹¹ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა დიდი სოციალური სარგებელია. მკურნალობაში ჩადებული ყოველი 1 დოლარი ხარჯების 4-7 დოლარს ზოგავს, რაც ნარკოდანაშაულის, კრიმინალური საქმის სამოწმოებისა და ქურდობის პრევენციით არის განპირობებული. თუ ამას სამედიცინო მომსახურებაზე დაზოგილი თანხა დაემატება, საერთო დანაზოგის მაჩვენებლის და ხარჯის შეფარდება შეიძლება 12:1 გაზდება.“

ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ ფულადი ჯარიმების დაკისრება და დაპატიმრება ეფექტიანი ზომები არ არის ნარკოტიკების მოხმარების შესამცირებლად, მას არანაირი (სოციალური) სარგებლობა არ მოაქვს ხარჯების მხრივ, 11 თვის შემდეგ და ამ 1-11 თვის განმავლობაში მიღებული სარგებელიც უმნიშვნელოა. დასჯისა და დაპატიმრების შიში (დიდად) არ უბიძებს ადამიანს, ნარკოტიკების მოხმარებაზე საბოლოოდ თქვას უარი. საქართველოსა თუ სხვა ქვეყნებში არარსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია დაპატიმრების მაჩვენებელსა და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას შორის (Bewley – Taylor. D, Chris Hallam. Ch, & Allen. R, 2007).

ამგვარად, ჩვენი კვლევის 3 შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა დავადგინოთ ხარჯი (დანახარჯი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში), რისი გამოთავისუფლებაც შეიძლება, თუ ნარკომომხმარებლების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება შეიცვლება (რომ ეს სახსრები სხვაგვარად იქნას გამოყენებული).

ალტერნატიული ხარჯების პერსპექტივიდან, ყველაზე შესაფერისი მიდგომა იქნებოდა განხილულიყოადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების აღსრულებისთვის დახარჯული რესურსების (18 მილიონი ლარი წელიწადში), ჯარიმებისა (რომლებიც გადასახადის სახით დაეკისრათ ქუჩაში რანდომული შემოწმების შედეგადკანონის დარღვევის გამო) და ანალიზის დადებითი პასუხის გამო დაპატიმრებულ პირთა პატიმრობის ხარჯების უკეთ გამოყენება. ამ შემთხვევაში, თანამედროვე მეცნიერულ მიდგომებზე აგებული მკურნალობა, სავარაუდოდ, ასეთი ალტერნატიული ხარჯების საუკეთესო გამოყენება იქნებოდა.

თუმცა, ამგვარი მიდგომა შეიძლება წინააღმდეგობრივად იქნას დანახული. შეიძლება კამათი, რომ პოლიციის სისტემიდან გამოთავისუფლებული რესურსები იშვიათად გამოიყენება პოლიციის საქმიანობის სფეროს გარეთ. ასევე — ჯარიმის სახით გადახდილი რესურსები, რომელთა მოძიება მისჯილ ნარკომომხმარებლებსა და მათ ოჯახებს საკმაოდ დიდი გარჯით უხდებათ, შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო რეგულარული ყოფითი ხარჯების დასაფარავად.

სავარაუდოდ, ყველაზე ნათელი და არანინააღმდეგობრივი იქნება, თუ საბიუჯეტო თანხები პენიტენციური დეპარტამენტის დონეზე დაიზოგება, რაც შესაძლებელია და რეგულარულად ხდება კიდეც ყველა სამართლებრივ სისტემაში, როცა კანონმდებლობა იცვლება და ადრინდელი კრიმინალური ქცევა არაკრიმინალურად მიიჩნევა¹². ჩვენი გამოთვლების მიხედვით, 273-ე მუხლით გასამართლებული პატიმრების შენახვის ხარჯმა 2008 წელს მინიმუმ 8 მილიონი ლარი შეადგინა.

სხვა სახელმწიფო ქვეუწყებები — საპატრულო დეპარტამენტი, სასამართლო და პროკურატურა მოქმედებენ ისე, როგორც უნდა მოქმედებდნენ დანაშაულის არარსებობის პირობებ-

¹² მაგალითებში შეიძლება შევიდეს ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი იმავე სქესის მოზრდილებან, ასატინენცია, სოციალური პარაზიტიზმი და სხვა ქცევები, რაც სისხლის სამართლის ქცევად განიხილებოდა კომუნისტური დიქტატურების დროს, ან ნარკოტიკების მოხმარების ან მცირე რაოდენობით ფლობის დეკრიმინალიზაცია პორტუგალიასა და ევროპავშირის სხვა ქვეყნებში.

შიც. პატრული სწორედ იმისთვის დგას ქუჩაში, რომ დანაშაული არ მოხდეს, პროკურატურა კი იმისთვის არსებობს, რომ დაიცვას კანონის ინტერესები და ა.შ.

როცა პოლიტიკა იცვლება და ნარკოტიკების მომხმარებლებზე ძალისმიერი აქცენტი აღარ კეთდება, სამართალდამცავი უწყებები თავიანთ პოტენციალს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად გამოიყენებენ. ამ გზით შესაძლებელი გახდება კიდევ ერთი მასობრივი სოციალური სარგებლის მიღება, რომლის ფინანსური ღირებულების დადგენა შესაძლებელი გახდება შესაფერისი მონაცემების პირობებში (იხილეთ, მაგ. Benson and Rasmussen, 2001 წ.), თუმცა, მონაცემების არსებითი სიმწირის გამო ვამჯობინეთ, საქართველოს სიტუაციაში მოდელი არ გაგვერთულებინა.

ბუნებრივია, თუ სახელმწიფო შეცვლის თავის პოლიტიკას, შესაძლებელი გახდება სასჯელადსრულების დეპარტამენტიდან დაზოგილი თანხის სხვა მიზნებისთვის გამოყენება.

ჩვენ მიერ 2006 წელს გამოცემულ ნაშრომში უცხოურ ანალოგიურ კვლევებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა ეფექტი, რომელსაც საზოგადოება მიიღებს, თუ ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებული რეპრესიული მიდგომა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკით შეიცვლება (Radimecky et al. 2006). კვლევაში ჩვენ ვთავაზობდით წლიურად 4.355 მლნ ლარის გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რათა ამ თანხით დაფინანსებულიყო მკურნალობისა და ზიანის შემცირების პროგრამები. წმინდა ეკონომიკური ეფექტი, მიღებული ჩანაცვლებითი თერაპიიდან (630 მონაწილე, ხარჯი — 650,000 ლარი) და შპრიცების გაცვლის პროგრამებიდან (31,50 მონაწილე — ხარჯი 750,000 ლარი) 2.23 მილიონ ლარს შეადგენდა პირველ წელს. ეკონომიკური ეფექტი უპირველესად მიღებულია ინფექციური დაავადებების პრევენციის (ახალი შემთხვევების პრევენცია) და შესაბამისი მკურნალობის ხარჯების შემცირების გზით.

იმავე მიდგომის გამოყენებით, რასაც 2006 წელს მივმართეთ, შეგვიძლია იმ მომსახურებების მოცულობა შევაფასოთ, რომელთა განევაც შესაძლებელი იქნებოდა, თუ 8 მილიონი ლარი მიმართული იქნება წამალდამოკიდებულების მკურნალობისა და ზიანის შემცირების პროგრამებზე.

8 მილიონი ლარი საკმარისია შემდეგი საქმიანობის დასაფინანსებლად:

- **1,200** პაციენტისთვის ერთნლიანი მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობა (1.3 მილიონი ლარი);
- **6,000**-ზე მეტი პირის ერთნლიანი ჩართვა ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამებში (1.4 მილიონი ლარი);
- **2,700** პაციენტის ამბულატორიული დეტოქსიფიკაცია (0.3 მილიონი ლარი);
- **700**-ზე მეტი პაციენტის ჰოსპიტალური დეტოქსიფიკაცია (2.5 მილიონი ლარი);
- **20,000** პირისთვის ფსიქო-სოციალური კონსულტაციის განევა (2.5 მილიონი ლარი).

2006 წელს რადიმეცვისა და სხვების მიერ შესრულებული კვლევის შედეგების მიუხედავად, ამ ეტაპზე ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია გამოვითვალოთ მხოლოდ ოპიოდური ჩანაცვლებითი მკურნალობისა და ნემსების/შპრიცების გაცვლის პროგრამის ხარჯთევექტურობის თვალ-საჩინო მაჩვენებლები, რაც ასეთი მკურნალობის ეფექტს ძალზე შთამბეჭდავად წარმოაჩენს.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოპიოდური ჩანაცვლებითი მკურნალობისა და ნემსების/შპრიცების გაცვლის პროგრამის განხორციელებით პაციენტების მითითებულ რაოდენობაში აივ/შიდსის 57 და C ჰეპატიტის 180ახალი შემთხვევის თავიდან აცილება შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებისადმი მიყენებული ზიანის პრევენციას (დანაშაული, შავი ბაზარი), მაშინ თავიდან აცილებული ზიანის ფულადი ღირებულება 17 მილიონ ლარს გადააჭარბებს.¹³

შედეგები

საბიუჯეტო პერსპექტივიდან, ქუჩაში რანდომული შემოწმების ძირეული ხარჯების კონსერვატიული შეფასებაა:

- 5.80მილიონი ლარი — პოლიციის ხარჯი;
- 1.528 მილიონი ლარი — ნარკოლოგიური ტესტირების სამსახურის ხარჯი;
- 1.904მილიონი ლარი — პროკურატორის ხარჯი;
- 0.658მილიონი ლარი — სასამართლოების ხარჯი;
- 8.061 მილიონი ლარი — პენიტენციური სისტემის ხარჯი,

რამაც 2008 წლისთვის 17.95 მილიონი ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტში 2008 წელს 18,076,245 მილიონი ლარი შევიდა იმ პირებისგან, რომელთა შარდის ანალიზმაც დადებითი პასუხი აჩვენა და რომელთაც შედეგად ჯარიმის გადახდა დაეკისრათ(საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2009 წ.).

როგორც ასეთი, ინტერვენცია დაბალანსებულია, შეიძლება ითქვას, რომ საბიუჯეტო პერსპექტივის კუთხით შემოსავალი ოდნავ აჭარბებს გაწეულ ხარჯებს.

კერძო ბიზნესისგან განსხვავებით, დემოკრატიული მთავრობის ამოცანა არის არა „ბიზნესის მომგებიანად მართვა“ ძირეული ფულადი ხარჯების კუთხით, არამედ საზოგადოების კეთილ-დღეობის ამაღლება – ე.ი. საზოგადოების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს სოციალური ხარჯების პერსპექტივაში გარდაიქმნება, როგორც მთავრობის ამოცანა — მინიმუმამდე დაიყვანოს ხარჯები, ხოლო სარგებელი მაქსიმუმამდე აამაღლოს, ე.ი. ხარჯების საუკეთესო გამოყენება მოიძიოს, რათა ხარჯებმა მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას ან/და მოხდეს სხვა

13 გამოყენებულია ის მიდგომა, რომელიც რადიმეცვისა და სხვების 2006 წლის ნაშრომშია აღნერილი.

ხარჯების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ რომელიმე ინტერვენცია სასარგებლოდ ჩაითვალოს, სარგებლის და თავიდან აცილებული ხარჯების ჯამი უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე განეული ხარჯების ოდენობა.

ამგვარად, სოციალური ხარჯების პერსპექტივით, შესაძლებელია ნარკოტიკებზე რანდომული შემოწმების მიმართ არსებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები გავაერთიანოთ — 18 მილიონი ლარი სამართალდამცავი ღონისძიებების პირდაპირი ხარჯები და 18 მილიონი ლარი, რაც ჯარიმების სახით არის შემოსული ნარკომომხმარებლებისა და მათი ოჯახებისგან, რაც საერთო ჯამში 36 მილიონ ლარს იძლევა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი მიდგომა შეიძლება ზოგიერთმა წინააღმდეგობრივად განიხილოს. სამაგიეროდ, თუ საკითხს მივუდგებით ალტერნატიული ხარჯების კუთხით, შესაძლებელი გახდება თამამად აღვრიცხოთ ხარჯების შესაძლო ალტერნატიული გამოყენება, ისე, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული:

- 17.95 მილიონი ლარი, რომელიც ნარკოტიკებზე რანდომული შემოწმების აღსრულებისთვის დაიხარჯა პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოების მიერ, შეიძლება გამოყენებული იქნას საშიში დანაშაულის პრევენციის, აღმოჩენისა და დევნისთვის, ნაცვლად მარტივი ნარკოტიკების მოხმარების ნებაყოფლობითი დანაშაულის გამოვლენისა (რაც ზიანს არავისაყენებს, გარდა თავად ნარკომომხმარებლისა) და ამგვარად არსებითად გააუმჯობესებს უსაფრთხოების სიტუაციას ქვეყანაში;
- ჯარიმების სახით შეგროვებული 18,076,245 მილიონი ლარი შეიძლება გამოყენებული იქნას ნარკომომხმარებლების, კერძოდ, მათი ოჯახების რეგულარული საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად და, ამგვარად მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად;
- 8.061 მილიონი ლარი (პატიმრობის ხარჯი) შეიძლება გამოყენებული იქნას მკურნალობისა და ზიანის შემცირების პროგრამების ფართო დაფინანსებისთვის, რაც შედეგად მოიტანს სულ მცირე, 17 მილიონი ლარის ხარჯების თავიდან აცილებას.

ალტერნატიული ხარჯების ამგვარი გამოყენება გაცილებით მეტი სარგებლის მომტანია როგორც ფულადი, ასევე ფართო სოციალური კუთხით, ვიდრე მისი გამოყენება ნარკოტიკებზე რანდომული შემოწმებისთვის, ვინაიდან ასეთი მიდგომა ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტირების დადებითი პასუხიდან 11 თვის თავზე და მნიშვნელოვანი ტვირთია როგორც სამართალდამცავი სისტემისთვის, ასევე საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვისაც. ეს მიდგომა ასევე ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებებსა და იმ პირების ღირსებას, რომელთაც შემოწმების პროცედურის გავლა უხდებათ.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის განმავლობაში ჩვენ კონსერვატიული მიდგომა შევინარჩუნეთ. ამგვარად, სამართალდამცავი სისტემის ხარჯები არსებითად არასრულადაა წარმოდგენილი, ისევე როგორც მკურნალობისა და ზიანის შემცირების ხარჯები, და შეგვიძლია საფუძვლიანად დავასკვნათ, რომ პენიტენციური სისტემის ხარჯების ალტერნატიული გამოყენების რე-

ალური ხარჯთევექტურობის მაჩვენებელი მკურნალობისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, სათანადო და სარწმუნო მონაცემები რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

დისკუსია

დისკუსია მონაცემების ხარისხის და გამოთვლაზე გამოყენებული დაზვენების შესახებ

გამოთვლების მიზნით რამდენიმე დაშვება გაკეთდა:

- ნარკოტიკების მოხმარების დროებით შეწყვეტის ეფექტი არ იქნა გათვალისწინებული გამოთვლაში, ვინაიდან რანდომული ტესტირების მეთოდმა მხოლოდ 11%-ს აიძულა შეეწყვიტა ნარკოტიკების მოხმარება და ისიც საშუალოდ 3.9 თვის განმავლობაში;
- ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების აღსრულების ხარჯები ერთნაირად იქნა დათვლილი, ისე როგორც ეს წარმოაჩინეს აღნიშნული კვლევის მონაწილეებმა;
- ციხის სამსახურის ხარჯებისთვის გამოყენებული ერთეული [ხარჯები] დათვლილი იქნა სულადობის და არა ციხეში გატარებული დღეების მიხედვით, რადგანაც ციხის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო მონაცემების მოწოდება ციხეში გატარებული დღეების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე.

კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვა არის შესაძლო მიკერძოებულობა, რომელიც შერჩევის სტრატეგიიდან გამომდინარეობს — ჯაჭვური რეფერალური შერჩევის მეთოდის (შერჩევა თოვლის გუნდის პრინციპით და მისი გაუმჯობესებული ვერსია – რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა) რგოლები დაბალზღურბლოვანი სერვისების კლიენტები იყვნენ, რომლებიც შესაძლოა უფრო ხშირად ასახელებდნენ ამჟამინდელ ნარკომომხმარებლებს, ვიდრე იმათ, ვინც ამჟამად ნარკოტიკებს არ მოიხმარენ, სავარაუდოდ, სწორედ ტესტირების დადებითი პასუხის შემდეგ მოსალოდნელი სასჯელის გამო. თუმცა, სხვა ალტერნატიული შერჩევის სტრატეგია ვერ ვიპოვეთ, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ნამდვილი (ვალიდური) და სარწმუნო მონაცემები მოგვეპოვებინა შემონმების პროცესის და მისი შედეგების შესახებ. მეორე მხრივ, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები შეესაბამება სხვა კვლევების შედეგებს, რომლების მიხედვითაც სამართალდამცავების ინტერვენციების შედეგებისგამოკვლევა ხდებოდა, ნარკოტიკების მოხმარების მიმართ, იმათი ჩათვლით, რომლებმაც შერჩევის სხვა ჩარჩოები გამოიყენეს.

შერჩევის სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენების გადაწყვეტილებამ კვლევით გუნდს საშუალება მისცა გადაეჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა. ჩვენ გვსურდა ინფორმაციის მოპოვება რესპონდენტების წარმომადგენლობითი შერჩევიდან, რაც თბილისში რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევის გამოყენებით იქნა მიღწეული. ასევე განზრახული გვქონ-

და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან. კვლევის მასშტაბმა საშუალება არ მოგვცა, რომ რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა მოგვეხდინა გორში, ზუგდიდში, ბათუმსა და თელავში; ამგვარად, ამ ადგილებში თოვლის გუნდის პრინციპის შერჩევა გამოვიყენეთ. მნიშვნელოვანია, რომ შერჩევის სხვადასხვა მეთოდით და სხვადასხვა ადგილას შერჩეული რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებში არანაირი ძირებული განსხვავება არ გამოვლენილა. რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ მიღებულ პასუხებშიც არანაირი მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა. აღნიშნულმა ფაქტორებმა მონაცემების სანდოობის კარგი ხარისხი განაპირობა და კვლევით მიღებული შედეგების განზოგადების საშუალება შექმნა.

გამოთვლებში მიზანმიმართულად გამოვიყენეთ უკიდურესად კონსერვატიული მიდგომა ქუჩაში ნარკოტიკებზე შემოწმების პოლიტიკის ღირებულების შეფასების მიმართ. კერძოდ, ჩვენს ფორმულებში იყო გამოყენებული სამი უწყების — პოლიცია, სასამართლოები და ნარკოლოგიური განყოფილება — შესაბამისი დანახარჯები, რაც ფაქტობრივზე უფრო დაბალია. სხვაირიბი ხარჯები, რაც დაპატიმრებული პირების ან მათი ოჯახების პროდუქტიულობის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული, კვლევაში არ ჩაგვირთავს. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საბოლოო მონაცემი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯს ასახავს ქუჩის ნარკოტიკებისა და შესაბამისი აქტივობების მიმართ (17,956,647ლარი), მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე აღნიშნული ინტერვენციის ფაქტობრივი ღირებულება.

სამართლებრივი და ტექნიკური პროცედურების განხილვა

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ათობით ათას ადამიანს სწრაფი ტესტის დადებითი პასუხების შედეგად ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წარმოება შეეხო (ციხეში გატარებული დროის ჩათვლით). რამდენადაც ცნობილია, არც ერთი სხვა იურისდიქცია არ იყენებს სწრაფი სკრინინგის პასუხებს, როგორც ნარკოტიკების მოხმარების მტკიცებულებას, იმის გამო, რომ ხშირადეს მეთოდი ტესტების დაბალ მახასიათებლებს, ჯვარედინ რეაქციულობას და ამ ტესტ-სისტემების არასტაბილურობას უკავშირდება (არამედეგობა ისეთი პირობების მიმართ, როგორიცაა ტემპერატურა და ტენიანობა). სხვა ქვეყნებში აღნიშნული პასუხები წინასწარ და ინდიკატორ შედეგებად მიიჩნევა და სასამართლოები უფრო ზუსტ დამადასტურებელ ლაბორატორიულ ანალიზებს ითხოვენ.

„ის (სწრაფი ტესტირება) ლაბორატორიულ (კვლევით) და მონიტორინგის (კონტროლის) ოპერაციებს ან რუტინულ შემოწმებებს მოიცავს, რაც სწრაფ მითითებას იძლევა და ნარკოტიკების მოხმარების ან არსებობის ეჭვს ასაბუთებს. სკრინინგის მოწყობილობიდან (სწრაფი ტესტი) მიღებული დადებითი პასუხი მიჩნეულია როგორც სავარაუდო შედეგი, ნარკოტიკის შერჩეული ზღვრული კონცენტრაციის საფუძველზე. ტესტირების შედეგმა უნდა გამიჯნოს სავარაუდო დადებითი პასუხი ჭრებმარიტად უარყოფითისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

როცა რაიმე, მოცემულ ბიოლოგიურ სინჯში, რეაქციაში შედის ტესტიან, ამგვარი მოწყობილობებით მიღებული პასუხები მიუთითებს, არსებობს თუ არა ნარკოტიკი ან მისი მეტაბოლიტი. ნარკოტიკის არსებობის საბოლოო (მტკიცებულებითი) გამოვლენა შესაფერის ლაბორატორიულ პროცედურებსა და დამტკიცებულ საანალიზო ტექნიკას მოითხოვს. დადებითად უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ ის სინჯში, რომლებზეც დადებითი პასუხია მიღებული როგორც სკრინინგით (სწრაფი ტესტირებით), ასევე დამადასტურებელი მეთოდებით. ამის მიზეზები ნათელია, რადგანაც ანალიზის დადებითი პასუხის შედეგები ხშირად მძიმეა და მოიცავს გამასწორებელ/სადამსჯელო ღონისძიებას, სამსახურის დაკარგვას და სისხლის სამართლის წარმოებასაც კი” (UNDP, 2001 წ.).

საქართველოში ამგვარი სწრაფი და არაზუსტი ტესტების პასუხები სასამართლოში მტკიცებულების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გამოიყენება, რასაც შედეგად ყოველწლიურად ათასობით ადამიანის დაჯარიმება ან დაპატიმრება მოჰყვება. აღნიშნული პრაქტიკა დამკვიდრებულ საერთაშორისო მიდგომას ენინაალმდეგება და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას არ შეესაბამება (კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლს სამართლიანი სასამართლოს შესახებ). სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს, რომ საკმარისი მტკიცებულება უნდა იქნას გამოყენებული ადამიანებისთვის სასჯელის მისასჯელად და აღნიშნული მტკიცებულება სანდო და მტკიცების გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა იყოს. თუმცა, ნათელია, რომ დამამტკიცებელი მეთოდებით იმ პირების შარდის სინჯშის ანალიზი, რომლებმაც შემოწმების ადგილას დადებითი პასუხი აჩვენეს, ძალიან გაზრდიდა ინტერვენციის ხარჯს (და დანახარჯებს).

ტესტირების ეთიკური ასპექტების განხილვა

და ბოლოს, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ მასობრივი ნარკო-ტესტები, რომელშიც ანალიზის პასუხების უმრავლესობა უარყოფითია, ეთიკურ შეკითხვას წარმოშობს. ათობით ათასი ადამიანის ნარკოლოგიური შემოწმება დამამცირებელი და ხანგრძლივი პროცედურის მეშვეობით, ფეხქვეშ თელავს მოქალაქეების ღირსებას და ძირს უთხრის საზოგადოების მხრიდან სამართლიანი და დემოკრატიული პოლიტიკის აღქმას.

დასკვნები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ნარკომომხმარებლების დასჯა და დაპატიმრება მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქცევაზე და ეს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების შეზღუდული რესურსების არაეფექტური ხარჯვაა, რასაც ასევე უდიდესი სოციალური ხარჯი ახლავს თან, საბოლოო შედეგი კი თითქმის უმნიშვნელოა.

სადამსჯელო ზომებმა, რასაც განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ანალოგი არ მოეპოვება, ვერანაირი კონკრეტული შედეგი ვერ მოიტანა ნარკოტიკების მოხმარების მხრივ და

მხოლოდ 1,605 პირის საზიანო კრიმინალიზაცია გამოიწვია (2008 წელს). ეს კი ნარკომომხ-მარებლებს კიდევ უფრო მეტად უბიძგებს, რომ არა მხოლოდ „ნებაყოფლობით“ ნარკოდან-აშაულში, არამედ კრიმინალურ ქმედებაშიც ჩაერთონ, რაც მნიშვნელოვნად უფრო საშიშია საზოგადოებრივი წესრიგისთვის.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ნარკოტიკებზე რანდომულმა შემოწმებამ, მისი მომხრეების მოლოდინი ნარკოტიკების მოხმარების შემცირების მხრივ, არ გაამართლა და საქართველოს საზოგადოებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანახარჯები, ასევე რთულად გადასაანგარიშებელი არამატერიალური ხარჯები დააკისრა (მეორადი ბაზ-რის შედეგები, შემოწმებულ პირთა დამცირება, მათი ოჯახების განცდები, ნარკომომხმარე-ბელთა კრიმინალიზაცია და სხვ.).

ნარკოტიკების მოხმარების მიმართ გამოკვლეული ინტერვენციის (ქუჩის ნარკო-ტესტები) უმნიშვნელო შედეგის საფუძველზე ვასკვნით, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა გამოვ-ლენაზე ფოკუსირებამ პოლიციის ორი უწყების(და სხვა სამართალდამცავი ორგანოების) ძვირფასი რესურსები გადაამისამართა იმ ღონისძიებებიდან, რომელთა მიზანია საზოგადოე-ბრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უკეთ დაცვა.

კვლევის შედეგების საფუძველზე ვასკვნით, რომ რაიმე ინტერვენცია, რომელიც შეძლებს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენას, უნდა წარმოადგენდეს იმ რესურსების უკეთეს გამოყ-ენებას, რომელიც შარდის რანდომულ შემოწმებაზე/სისხლის სამართლის და ადმინისტრაცი-ული კოდექსების შესაბამისი მუხლების აღსრულებაზე დაიხარჯა. ანალიზის დადებითი პა-სუხის გამო დაპატიმრებული პირების ციხეში შენახვის საჭირო რესურსების ალტერნატიული გამოყენება 17 მილიონი ლარის სოციალურ სარგებელს მოიტანდა (იხილეთ ზემოთ).

რეკომენდაციები

კვლევის შედეგების საფუძველზე, ნაშრომის ავტორები ნარკოტიკული პოლიტიკის ფორმირე-ბაში ჩართულ ორგანოებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავენ:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნას 273-ე მუხლი, რითაც ყოველწლიურად 1,600 ადამიანის დაპატიმრება იქნება თავიდან აცილე-ბული და წელიწადში 8 მილიონზე მეტი ლარი დაიზოგება დაპატიმრების ხარჯე-ბიდან;
- მოხდეს პოლიციის გამოთავისუფლებული რესურსების გადანაცვლება, რათა პოლიციის პრიორიტეტები ახალგაზრდების (ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმი-ტანილი პირების) დევნიდან გადავიდეს კრიმინალურ ქმედებებზე, რაც რეალურ ზეგავლენას ახდენს კრიმინალურ სიტუაციასა თუ საზოგადოების უსაფრთხოე-ბაზე;
- დაზოგილი თანხა (8 მილიონი ლარი) მიმართულ იქნას თანამედროვე, სტრუქტუ-

რიჩებული, ევროკავშირის ტიპის ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და რეალიზებაზე. ასეთი ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოხდება მოთხოვნის შემცირების იმ ეფექტური პროგრამების (მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია, პრევენცია) დაწერვა და/ან მოქმედების არეალის ზრდა, რომლებიც რენტაბელურია, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Benson, B. L., Leburn, I. S., & Rasmussen, D. W. (2001). The Impact of Drug Enforcement on Crime: An Investigation of the Opportunity Cost of Police Resources. *Journal of Drug Issues*, 31(4), 989-1006.
2. Benson, B., Kim, I., Rasmussen, D., & Zuehlke, T. W. (1992). Is property crime caused by drug use or by drug enforcement policy? *Applied Economics*, 24, 674-692.
3. Bewley – Taylor. D, Chris Hallam. Ch,& Allen. R. (2007). The Incarceration of drug offenders: an overview. The Beckley Foundation Drug Policy Program.
4. Bruns, W. J., & Kaplan, R. S. (1987). Accounting & management: field study perspectives. Cambridge, MA: Harvard Business Press.
5. Craig, S. G. (1987). The Deterrent Impact of Police: An Examination of a Locally Provided Public Service. *Journal of Urban Economics*, 21, 298-311.
6. Davies, P. Is Evidence-Based Government Possible?, Jerry Lee Lecture 2004, 4th Annual Campbell Collaboration Colloquium, Washington D.C., 19 February 2004. Cited in European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, & Inter-American Drug Abuse Control Commission of the Organization of American States. (2010). *Building a national drugs observatory: a joint handbook* (1st ed.). Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities.
7. Ennett, S. T., Rosenbaum, D. P., Flewelling, R. L., Bieler, G. S., Ringwalt, C. L., & Bailey, S. L. (1994). Long-term evaluation of drug abuse resistance education. *Addict Behav*, 19(2), 113-125.
8. European Community. (2008). The Final Evaluation of the EU Drugs Action Plan 2005-2008, Brussels: European Commission.
9. European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, & Inter-American Drug Abuse Control Commission of the Organization of American States. (2010). *Building a national drugs observatory: a joint handbook* (1st ed.). Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities.
10. Garrison, R. H., Noreen, E. C, & Brewer, P. C. (2009). *Managerial Accounting* (13th ed.). New York: McGraw-Hill Irwin.
11. Goldstein, P. J. (1989). Drugs and violent crime. In N. A. Weiner & M. E. Wolfgang (Eds.), *Pathways to criminal violence* (pp. 16-48). Newbury Park, California: Sage Publications.
12. Goodman, L. A. (1961). Snowball sampling. *The Annals of Mathematical Statistics*, 32(1), 148-170.
13. საქართველოს მთავრობა (1999). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.
14. Hansen, W. B., & McNeal, R. B., Jr. (1997). How D.A.R.E. works: an examination of program effects on mediating variables. *Health Educ Behav*, 24(2), 165-176.

15. Hawks, D., Katie, S., & McBride, M. (2002). Prevention of Psychoactive Substance Use : A Selected Review of What Works in the Area of Prevention. Geneva: WHO.
16. Heckathorn, D. D., & Magnani, R. (2005). Snowball and Respondent-Driven Sampling (Vol. 2nd): Family Health International.
17. ჯავახიშვილი, დ.კ., სტურუა, ლ. ოთიაშვილი, დ., კირთაძე, ი., და ზაბრანსკი, თ. (2011). ნარკოსიტუაციის მიმოხილვა საქართველოში [Stručný přehled drogové situace v Gruzii]. [მიმოხილვა]. Adiktologie, 10(1), 38-48.
18. კიკნაძე, ნ., და ოთიაშვილი, დ. (2007). საქართველო: ანტინარკოტიკული კანონი ადა-მიანის უფლებებს არღვევს. აივ შიდსის პოლიტიკის კანონის მიმოხილვა, 12(2-3), 69-70.
19. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2007). 2008 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. წყარო: http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=4036.
20. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2009ა). 2008 წლის ბიუჯეტი და დანახ-არჯები.
21. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2009ბ). 2008 წლის ბიუჯეტი და დანახ-არჯები.
22. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (2009გ). 2008 წლის ნარკოტიკების ტე-სტირების სტატისტიკა.
23. საქართველოს სასჯელალსრულების, პროპაკიის და იურიდიული დახმარების საკითხ-თა სამინისტრო (2009). 2008 წლის ბიუჯეტი და დანახარჯები.
24. Moreira, M., Trigueiros, F., & Antunes, C. (2007). The evaluation of the Portuguese drug policy 1999-2004: the process and the impact on the new policy. *Drugs and Alcohol Today*, 7(2), 14-25.
25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2009). საქართველოს სტატისტი-კური წელიწელი 2009. აღებულია 2009 წლის 3 მარტის მდგომარეობით ვებ-გვერ-დიდან <http://www.geostat.ge/index.php?action=wnews&npid=2&lang=eng>
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2011). საშუალო ყოველთვიური შემოსავალი ერთსულზე(ლარი). შინამეურნეობების შემოსავალია 2012 წლის 12 იანვრის მდგომარეობით ვებგვერდიდან http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=182&lang=eng
27. Parkin, M. (2000). *Microeconomics* (Vol. 5th). New York: Addison-Wesley.
28. Radimecky J., Otiashvili D., & Tsertsvadze V. (2006). Investing in the Healthy Future: Action Plan of Drug Policy in Georgia in 2007-2009 – Development in areas of treatment and risk minimizations, *Union Alternative Georgia and Georgian Harm Reduction Network*.
29. Single, E., Rohl, T., & Ministerial Council on Drug Strategy. (1997). *The National Drug Strategy: mapping the future. An evaluation of the National Drug Strategy 1993-1997*. Canberra: Australian Govt. Pub. Service.

30. Stevens, A., Trace, M., & D, B. T. (2005). Reducing drug related crime: an overview of the Global evidence. The Beckley Foundation Drug Policy Program.
 31. Success Works. (2003). Evaluation of the National Drug Strategic Framework 1998-9 - 2003-4. Canberra.
 32. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. (2010). სასამართლოს რეფორმა. ამოღებულია 2009 წლის 03 მარტის მდგომარეობით ვებ-გვერდიდან <http://www.hcoj.gov.ge>
 33. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2009). ნარკოტიკული დანაშაულები 2008 წელს.
 34. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2009a). 2008 სასამართლოს სტატისტიკა.
 35. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2009b). 2008 ნარკოტიკებთან დაკავშირებული ჯარიმები და საპროცესო შეთანხმებები.
 36. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2011). სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 2003-2011 წწ. ამოღებულია 2011 წლის 3 მარტის მდგომარეობით ვებ-გვერდიდან <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/biujeti-2003-2011.pdf>
 37. UNDCP. (2001). Rapid on-site Screening of Drugs of Abuse. Scientific and Technical Notes.
 38. United States of America, Department of Health and Human Services, Centers for Disease Control, *Policy Issues and Challenges in Substance Abuse Treatment*, 2002 (see www.cdc.gov/idi/facts/Policy.htm)
 39. UNODC, Investing in Drug Abuse Treatment, *A Discussion Paper for Policymakers*, 2003.
 40. UNODC. (2003). Investing in Drug Abuse Treatment, A Discussion Paper for Policy Makers. New York: United Nations.
 41. Verster, A., & Buning, E. (2003). Information for policymakers on the effectiveness of substitution treatment for opiate dependence. Euromethwork. Annette Verster & Ernst Buning, Information for policymakers on the effectiveness of substitution treatment for opiate dependence, Eurometh-work 2003.
 42. Vincus, A. A., Ringwalt, C., Harris, M. S., & Shamblen, S. R. (2010). A short-term, quasi-experimental evaluation of D.A.R.E.'s revised elementary school curriculum. *J Drug Educ*, 40(1), 37-49.
 43. World Health Organisation, United Nations Office on Drugs and Crime, & UNAIDS. (2004). Substitution maintenance therapy in the management of opioid dependence and HIV/AIDS prevention: position paper (1st ed.). Geneva: WHO.
 44. World Health Organisation. (2009). Guidelines for the psychosocially assisted pharmacological treatment of opioid dependence. Geneva: WHO.

აპრევიატურების ჩამონიშვილი

CP – Criminal Police – კრიმინალური პოლიცია

EMCDDA - European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction – ნარკოტიკების და ნარკომანის ევროპის მონიტორინგის ცენტრი

FG – Focus Group – ფოკუსური ჯგუფი

GEL – Georgian Lari ქართული ლარი

GHRN – Georgian Harm Reduction Network – ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

IRB – Institutional Review Board – ინსტიტუციური განხილვის საბჭო

MOF – Ministry of Finance of Georgia – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

MOIA – Ministry of Internal Affairs of Georgia – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MOLHSA – Ministry of Labour, Health, and Social Affairs of Georgia – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MST – Methadone Substitution Treatment - მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობა

NSP – Needle and Syringe Exchange Programme – ნედსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამა

NTD – Narcological Testing Division – ნარკოლოგიური განყოფილება

OST – Opiate Substitution Treatment – ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობა

RDS – Respondent-driven Sampling – რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა

UNAIDS – Joint United Nations Programme on HIV/AIDS – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აივ/შიდსის ერთობლივი პროგრამა

UNODC – United Nations Office on Drugs and Crime (formerly UNDCP - United Nations International Drug Control Programme) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ოფისი

WHO – World Health Organisation – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია